# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 24 იანვარი 2003 №9 (1780) | ფასი 50 თეთრი




გაჩუნი კეთილაძის ფოტო

## კიევოსთან გატანილი გოლი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ულამაზესია

## კახა კალაძე პოდიუმზე არასოდეს გაივლის

ინტერვიუ კახა კალაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე






## NBA ბოისას შანსი რეალურია

*სლოვენია მცირე ქვეყანაა, მაგრამ იქ დარხეული ხმები არცთუ მცირე, თუმც სასიცოცხლო ურიამულს მოკლებულ საქართველოში ჩაგვესმის. იქ ათასები ყვიროდნენ ჩვენებურ სახელებს — „სტეფანია, სტეფანია...", ანდა „სკიტა, სკიტა...!" ახლა იქ ახალი ქართველი კერპი ჰყავთ. რუსთაველ ბიჭს ვივა ბოისას ლიუბლიანაში და მის გარეთ ყველა ცნობს, ქუჩაში ავტოგრაფებს ართმევენ, მისი გუნდის, „ოლიმპიას" თამაშებზე კი ყველაზე ხმამაღლა მის სახელს ყვირიან.*

*პატარა ქვეყანაა სლოვენია, მაგრამ ტრამპლინისხელა გაქანება აქვს. იქ დავაჭკაცდნენ ნბა-ში მიღებული ქართველები სტეფანია და ცქიტიშვილი. ნბა-სთვის ემზადება ბოისაც. მის აგენტს მარკ ფლეიშერს ბევრი მთხოვნელი დასტრიალებს. აწუხებენ ევროპის ცხელი საკალათბურთო წერტილებიდან, კარგ ადგილებს სთავაზობენ ჩვენებური ფორვარდისთვის, მაგრამ ფლეიშერი არავის აძლევს დასტურს, რაკი მისი კლიენტის წინ ნბა-ს კონტურები იკვეთება.*

*„ჩანდაჩან ნბა მესიზმრება კიდეც" — ბოისა ოცნებობს, მაგრამ არა მხოლოდ. თუ ბუნებრივი და შრომის ნიჭი მოვდევს, ოცნება რეალურად ხელშესახები რამ ხდება. ბოისა შრომობს, ნიჭსაც უქებენ, ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ წლეულს ამ ბიჭის სახელ-გვარს ნბა-ს რომელიმე გუნდის ოქმში ამოიკითხავთ.*

# შავი დედოფლების ჰეგემONEY



სერენა უილიამსი

*მოვესწარით: შავდა უილიამსები ხვალ იმასაც გვანახებენ, რაიც ამ, მათთვის დასტურ სახელოვანი წლების განმავლობაშიც კი უნახველი დაურჩათ. რაას? რას და ავსტრალიის ღია პირველობის შიდადურ ფინალს, რომლის აღკვეთაც გუშინ ვერც საუცხოო ფორმაში მყოფმა კიმ კლაისტერსმა შეძლო და ვერც მისმა ციდა თვისტომმა ჟუსტინ ენენმა. დებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ მთელ დანარჩენ ამქარს ისინი ერთი ბარაქიანი მკერდით უსწრებენ. კაცთა მხარეს კი კარიერის მეთოთხმეტე სლემფინალში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭა შვიდგზის მესლემტიტულემა და ამ შვიდიდან სამის სწორედ იქვე, მელბურნში მშოვნელმა ანდრე აგასიმ. 32 წლის არმენოამერიკელი დღეს ოჯახთან ერთად ინებივრებს და დაელოდება, თუ ვის გამოუგზავნიან ჩოგბურთის ღმერთები ფინალში — უსახელო გერმანელ რაინერ შიუტლერს თუ კადნიერ თანამემამულე ენდი როდიკს, ვისაც ამერიკა სწორედ მისი თაობის მთავარმემკვიდრედ მიიჩნევს*



ვინუს უილიამსი



ბადრი კოპალიანის ფოტო

# კალაძის კვირეული

## სიმბოლური პოდიუმი მაკრატელას ჩვენებით

*კახა კალაძემ წლეულს პირველი მილანური გოლით გუშინწინ „კიევოსთან" სათასო მეოთხედფინალისას გაიხარა — ეს მისთვის ჯამში მეცხრე იტალიური გოლია. თანაც გოლსაც ხომ გაჩნია...*

**მატჩის** პირველსავე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში ჩაწოდებულს კახამ სწორად შეურჩია ადგილი, დაახლოებით მეკარის ბაქნის კუთხესთან ერთი კი შეყოვნდა, თითქოს თავით დარტყმა სცადა, მაგრამ უმალ ჰაერში ჰორიზონტალურად გასწორდა და მეკარეს, რომელმაც ბურთს თვალიღა გააყოლა, ისეთი მაკრატელა გაუტანა, თქვენი მოწონებულიო, რომ იტყვიან.

*— მცველი ვარ და მაკრატელას შესრულების საშუალება აბა, როდის უნდა მქონოდა, არც ვარჯიშებზე, მით უმეტეს, არც თამაშისას ასე არ დამირტყამს — გვითხრა კახამ — ისე, ათასში ერთხელ, როცა თანაგუნდელები ვლაღობთ, შეიძლება ეს გავაკეთო, თორემ მაკრატელა სხვა შემთხვევაში გამორიცხულია, უფრო სწორად, საამისო შანსი არ მეძლევა.*

*ვთვლი, რომ „კიევოსთან" გატანილი გოლი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ულამაზესია. ჩაწოდებული ბურთის ტრაექტორია როცა განვსაზღვრე, სხვა ვარიანტი აღარ მქონდა, უნდა შევტრიალებულიყავი და მაკრატელა დამერტყა. იქამდე კი მეკარის პოზიცია დავაფიქსირე, ახლო კუთხე ჰქონდა დაფარული და ბურთი შეგნებულად გავგზავნე შორეული კუთხის მიმართულებით. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ დარტყმას კარგად შევასრულებდი. თანაგუნდელებმა მაშინვე მომილოცეს. ფაქტობრივად, ჩემი გოლის შემდეგ გატყდა კიდეც „კიევო" და ჩვენი ჩინებული თამაშით მათი დამარცხება აღარ გაგვჭირვებია.*

ეს გოლი გოლად, კახა კალაძე კი ამ კვირას ცნობილი მოდელიორის, ჯორჯო არმანის საპატიო სტუმარიც იყო. მილანში მოწყობილ მაღალი მოდის ჩვენებაზე არმანიმ კალაძე რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელთან ერთად თავისი ახალი კოლექციის პრეზენტაციაზე დაპატიჟა...

*— ჩემს გარდა არმანიმ დელ პიერო, ვიერი, შევჩენკო, ფიგუ და კანავარო მიიწვია. რა თქმა უნდა, ეს თავის პოპულარიზაციის მიზნით გააკეთა. ამ ფეხბურთელებიდან ზოგი იქნებ პოდიუმზეც სეირნობს და მოდელების ჩვენებაში მონაწილეობს, კახა კალაძე კი პოდიუმზე არასდროს გაივლის. ჩემი ადგილი მოედანზეა და არა მოდელების სახლში. არმანი ჩვენი მეგობარია, სადამო ჰქონდა, დაგვპატიჟა და ვესტუმრეთ, სხვა არაფერი.*

აქვე შეგახსენებთ, რომ ამ კვირაშივე კახა კალაძე იტალიელი ჟურნალისტების შედგენილ სერია A-ს პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

კვირეულიც ამას ჰქვია...

**ძოგა ინასარიძე**



კახა კალაძე (მარცხნივ) ჯორჯო არმანის (შუაში) საპატიო სტუმართა შორის იყო

## იტალია

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

პერუჯა 2:0 იუვენტუსი (2:1)

## ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი
პირველი მატჩი

რეალი 1:1 მალიორკა

## საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

პანილიაკოსი 1:2 ეგალეო (0:4)

## ხელბურთი

Andebol Portugal'2003

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები

პორტუგალია. 20 იანვარი - 2 თებერვალი

მესამე ტური

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ტუნისი 22:24 პოლონეთი | რუსეთი 26:28 ხორვატია |
| მაროკო 22:25 კუვეიტი | უნგრეთი 36:25 ს. არაბეთი |
| ესპანეთი 22:20 იუგოსლავია | საფრანგეთი 35:18 არგენტინა |
| **B ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| გერმანია 34:20 გრენლანდია | სლოვენია 26:27 ეგვიპტე |
| ავსტრალია 23:28 ყატარი | შვედეთი 29:21 ბრაზილია |
| ისლანდია 29:28 პორტუგალია | დანია 22:19 ალჟირი |

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა"
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# ბლოკნოტი, ბლოკნოტი გვინდა!

**საქართველოს ნაკრებს** მუდამ ისეთი მწვრთნელები ჰყავდა და ჰყავს, რომელთა უზარმაზარ გამოცდილებასა და სამწვრთნელო განსწავლულობაში ეჭვი მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკებს და მწვრთნელ-ჩინოვნიკთა მეგობრებს არ ეპარებათ და, თუ ვინმეს მაინც ეპარება, ჩუმადაა და არავის აგებინებს. ხოლო ისინი, ვინც არც ჩინოვნიკია და არც ჩინოვნიკის მეგობარი, ფიქრობს, რომ საქართველოს ნაკრებს უკეთესი მწვრთნელი სჭირდება.

თავისთავად, უკეთესი მწვრთნელი ძალიან ზოგადი ცნებაა. მაგალითად, ჩვენი ნაკრებისთვის უკეთესი მწვრთნელი, ვფიქრობთ, ივო შუშაკიც იქნება, მაგრამ „ბარსელონა" ლუის ვან გაალზე უკეთესს ეძებს და ამ ლოგიკით, შუშაკი ვან გაალზე კარგი მწვრთნელი ყოფილა. ერთი სიტყვით, უკეთეს ან კარგ მწვრთნელს რომ ვახსენებთ, დაზუსტებაა საჭირო — ყოველი კონკრეტული გუნდისთვის მისი შესაფერისი მწვრთნელია მოსაძებნი და არა უბრალოდ განთქმული და ტიტულთა მომხვეჭი.

ვან გაალი ვახსენეთ და მისი ამბავიც გავიხსენოთ. ამ კაცმა სრულიად უცნობი ყმაწვილებისგან დიდი „აიაქსი" გამოძერწა, ვარსკვლავებით დახუნძლული „ბარსელონა" კი არავარსკვლავურ, თუგინდ, არაბარსელონურ ყაიდაზე გადააწყო და დღეს შედეგს იმკის. ამის შემხედვარე, უნდა დაეთანხმო რივალდოს, რომელმაც ჰოლანდიელზე თქვა, უბრალო ბიჭებისგან დიდი გუნდის შექმნა შეუძლია, მაგრამ დიდ გუნდს რაღა მოუხერხოს, არ იცისო. ისიც მოგეხსენებათ, რომ რივალდო „ბარსადან" სწორედ ვან გაალის გამო გაუშვეს, რაკი მის სქემას ვერ მოერგო.

ახლა ვისენტე დელ ბოსკეს გადავწვდეთ, რომელმაც მადრიდის „რეალს" ორჯერ მოაგებინა ჩემპიონთა თასი. მაგრამ ვიკითხოთ: რას გააზერხებდა დელ ბოსკე, ვთქვათ, „რასინგის" ან „უელვას" მწვრთნელი რომ ყოფილიყო. ცხადია, ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ვერ გვექნება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ვერაფერს. ისიც ცხადია, რომ დელ ბოსკესგან „რასინგის" ან „უელვას" გაჩემპიონებას არავინ მოითხოვდა, მაგრამ საშუალო დონის გუნდებად აქცევდა თუ არა, საკითხავია.



თუ დაკვირვებულხართ, დელ ბოსკეს დამსახურება ის არის, რომ თავის ვარსკვლავებს ვარსკვლავობის საშუალებას აძლევს და ნახაზებით მაინცდამაინც არ დასდევს. ამიტომაც ვფიქრობთ, დელ ბოსკე ვან გაალის ადგილას რომ ყოფილიყო, „ბარსელონას" ალბათ ათამაშებდა, მაგრამ დიდ „აიაქსს" ვერ შექმნიდა.

ახლა კი საქართველოს ნაკრებსაც მივადგეთ და ზემოთ თქმული შევაჯამოთ: ჩვენს ნაკრებს, მისი რაობიდან გამომდინარე, ვან გაალი სჭირდება და არა დელ ბოსკე. საქართველოს ნაკრებს ბლოკნოტიანი კაცი უნდა, თორემ ამათ თამაშს რომ უყურებ, რომელი ფეხბურთელი საით და რატომ გარბის, ვერ გებულობ.

ვან გაალს საქართველოში ვერ ჩამოიყვან, ძალიან დიდი ფული უნდა, მაგრამ ზემოთ კონკრეტულად მასზე კი არა, მის სტილზე მოგახსენებდით. და ჩვენი მწვრთნელების შემხედვარე მალიმალ კარგ მწვრთნელს რომ ვახსენებთ, ვან გაალის ყაიდის სპეციალისტს ვგულისხმობთ და არა ზოგადად კარგ მწვრთნელს. ჩვენთვის საჭირო მწვრთნელები კი იაფადაც იშოვება.

**ძოტე ძეძელია**

*რამდენიმე დღის წინ თურქულ „ქოჯაელისფორში“ ერთბაშად სამი ქართველი ფეხბურთელი ვარჯიშობდა. რამდენიმე საკონტროლო მატჩის შემდეგ „ქოჯაელისფორის“ თავკაცმა ჩვენებურები მოიწონა და კლუბის ხელმძღვანელობასაც სთხოვა, მათი გადაყვანის საქმე მოეგვარებინა. ამის შემდეგ მოვლენები არაერთგვაროვნად განვითარდა – ქუთაისის „ტორპედომ“ გივი დიდავასა და რევაზ ქემოკლიძის თურქულ კლუბში იჯარით განათხოვრებაზე უარი განაცხადა. თუ თურქები ჩვენი ფეხბურთელების ყიდვას გადაწყვეტენ, მაშინ მოლაპარაკების დასაწყებად მზად ვართო, ასეთია რიონისპირელთა პირობა*

# ყიდვა-გაყიდვა ქართულ-თურქულად

## იმედაძე ქოჯაელის პასუხს ელის

**ჯერაც** ვლადიკავკაზური „სპარტაკ-ალანიას“ საკუთრება გიორგი იმედაძე კი უკვე საქართველოში დაბრუნდა. 22 წლის თავდამსხმელი დიდი ხნის უთამაშებელი იყო, მაგრამ თურქებს თავი მაინც მოაწონა. ახლა ჯერი ოსებზეა. ***გიორგი იმედაძის*** ბედი თურქულ-ოსური შეთანხმების შემდეგ გაირკვევა.

— „ქოჯაელისფორში“ სინჯები გავიარე და ახლა საქართველოში ვარ. ვნახოთ, როდის გადაწყდება ჩემი საკითხი. სავარაუდოდ, თურქებმა ამ დღეებში უნდა მაცნობონ, შეძლებენ თუ არა ჩემს შემატებას.

**— დაახლოებით როდის გეცოდინება საბოლოო პასუხი?**

— წესით, თვის ბოლომდე ყველაფერი უნდა გაირკვეს, რადგან თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრე 8 თებერვალს იწყება.

**— წამოსვლისას მწვრთნელს თუ ელაპარაკე?**

— დიახ. მან მითხრა, რომ სამივე ქართველის გადაბირება სურს. დანარჩენი მოლაპარაკებებისას გამოჩნდება.

**— კი მაგრამ, ჩვენთვის ცნობილია, რომ „ქოჯაელისფორმა“ დიდავას და ქემოკლიძის იჯარის წესით აყვანა მოინდომა, რაზეც ქუთაისის „ტორპედომ“ უარი განაცხადა. შეიძლება, კიდევ რამე შეიცვალოს?**

— ვერაფერს გეტყვით. როგორც ვიცი, თუ თურქეთში დაბრუნებაა, სამივენი დავბრუნდებით.

**— როგორ ფიქრობ, რეალურია, რომ თურქეთის ჩემპიონატის მეორე წრეს „ქოჯაელისფორში“ შეხვდე?**

— ვერ გიპასუხებ. თურქებს და, ცხადია, მეც ეს ძალიან გვინდა, მაგრამ რა როგორ მოხდება, არ ვიცი.

**— ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“ ხელს ხომ არ შეგიშლის?**

— ალბათ, არა. დანარჩენი თურქების მარიფათზეა დამოკიდებული. შეთანხმდებიან? მეც „ქოჯაელისფორს“ შევუერთდები. არც ის ვიცი, ოსები გამყიდიან თუ გამანათხოვრებენ. მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა.

**ბაჩა შალამბერიძე**




გია იმედაძე




გივი დიდავა



რევაზ ქემოკლიძე

# ასლან იმედიანი

## ბათუმმა ძველ ბიჭებს მომავალი არჩია



ზურაბ ქვაჩახია

**უმაღლეს ლიგაში** დასარჩენად მებრძოლი „ბათუმი“ საგაზაფხულო ეტაპს, ფაქტობრივად, ახალი გუნდით ეგებება. ზამთრის არდადეგებზე ასლან ბალაძეს რვა მოთამაშე დაემშვიდობა. ვეტერანმა პაატა მაჭუტაძემ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა, მისი ახალ სამსახურში მოწყობა და გუნდიდან სოლიდურად გაცილება პრობლემა არ იქნებაო, გვითხრა გუშინ „ბათუმის“ თავკაცმა.

თემურ ტუღუშმა კარიერის გაგრძელება ასევე ზღვისპირულ „კოლხეთში“ ისურვა, გამოცდილმა მცველმა ზურაბ მინდაძემ რუსეთისკენ გაიწია, მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე უკრაინულ „ტავრიაში“ მოეწყო, შალვა ხუჯაძის, ვახტანგ თურმანიძის, არჩილ რომანაძისა და გოჩა ყულეჯიშვილის ადგილსამყოფელზე აჭარულ კლუბში არაფერი იციან, ის კი ნაღდია, „ბათუმს“ რომ გაშორდნენ.

ასლან ბალაძეს „ბათუმის“ ძველი გვარდიიდან ერთადერთი გამოცდილი მოთამაშე, ივანე მახარაძეღა შემორჩა. მართალია, გამოუცდელობას ვერც დარჩიძეს, ქაცარავას, კობიძეს, ჩიჩუასა და მოდებაძეს დავწამებთ, მით უფრო, ეროვნულ ჩემპიონატში ნაძლობა გუშინ არ მიუღიათ, მაგრამ ეს ბიჭები მაინც 20-21 წლისანი არიან.

სადღეისოდ „ბათუმში“ სინჯებზე რამდენიმე ახალწვეული იმყოფება. რუსეთმოვლილი მეკარე ზურაბ ქვაჩახია, აწ უკვე ისტორიად ქცეული „მერანი 91“-ის ფორვარდები — ბექა ნოზაძე და დიმიტრი ფირცხალაიშვილი, „კოლხეთის“ ყოფილი მარცხენა მცველი ლევან აკობია, ვეტერანი ფორვარდი მიხეილ ცქიფურიშვილი და მცველი დავით ტყებუჩავა რეგიონული ლიგის „მაუდის“ ლიბერო გიორგი კოტრიკაძე — სავარაუდოდ, ესენი მოირგებენ „ბათუმის“ საკლუბო მაისურას.

— ყველამ ვიცით, წლეულს რა მიზნისთვის მოგვიწევს ბრძოლა. „ბათუმს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად თამაში არ ეკადრება, მაგრამ არც ერთწლიანი გუნდის იმიჯი დააკმაყოფილებს. მართალია, მეტად სარისკო გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა გეზი გუნდის გაახალგაზრდავებაზე ავიღეთ, მაგრამ მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. გუნდის საშუალო ასაკი 21 წელიწადია, ამ ბიჭებმა ახლა უნდა ითამაშონ ფეხბურთი, მით უმეტეს, როცა ფინანსური პრობლემები წარსულს ჩაბარდა და ამიერიდან არაფერი გაგვიჭირდება — როგორც ყოველთვის, ასლან ბალაძე გუშინაც იმედიანი ჩანდა.

„ბათუმმა“ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადება 10 იანვარს დაიწყო. გუნდმა სამედიცინო შემოწმება გაიარა და 11 იანვრიდან წვრთნასაც შეუდგა. ბალაძემ ორჯერ „კოლხეთსაც“ გააჯიბრა შეგირდები. საწვრთნელი მატჩები ბათუმელებმა 2:1 და 1:0 მოიგეს. გოლები პირველ თამაშში მოდებაძემ და ქაცარავამ, ხოლო მეორეში ცქიფურიშვილმა პენალტით გაიტანეს.

მზადების პირველი ეტაპი თვის ბოლოს დასრულდება, ხოლო 3 თებერვალს „ბათუმი“ ბულგარეთისკენ აიღებს გეზს და ქალაქ ტრიავნაში ორ კვირას დაყოვნდება, სადაც 5 ამხანაგური მატჩის გამართვაცაა დაგეგმილი.

**მამუკა ძვანტალიანი**

# პაატა მაჭუტაძე:

## მოთმინებითა შენითა მოიპოვე კარიერა შენი

*თორმეტი სრული და ორიც სანახევრო ჩემპიონატი, 282 მატჩში გატანილი 106 გოლი, ქართული ვერცხლი და ბრინჯაო, ზედ მონაგრებული თასი და სუპერთასი. ასეთ კარიერას ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალი ბევრი ფეხბურთელი ინატრებდა.*

*ბათუმელმა პაატა მაჭუტაძემ, რომელსაც 21 აპრილს 35 წელინადი შეუსრულდება, ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. უკან დარჩა ბურთი და მოედანი, შეკრებები, ქალაქიდან ქალაქში წონიალი, დიდი სიხარულიც და ის ტკივილიც, რაც ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია.*

*დღეს მაჭუტაძემ არ იცის, რას გააკეთებს მომავალში. სანამ ახალ გზას დაადგება, ფეხბურთთან განშორებით გამოწვეულ ნაღველს იქარვებს და განვლილ კარიერაზე სევდიანად საუბრობს...*

— როცა ფეხბურთელი მოტივაციას კარგავს, საქმე საჭოჭმანოდ არ უნდა გაიხადო და სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ოქროს მედლის გარდა საქართველოში მოუგებელი არაფერი დამრჩენია. „ბათუმი“ კი ჩემპიონობისთვის ახლო მომავალში ვერ გაიბრძოლებს და არც მე ვარ პატარა ბიჭი.

უმჯობესია, ჩემს ადგილზე ამიერიდან ახალგაზრდამ ითამაშოს, გამოცდილება შეიძინოს და გუნდს სამომავლოდ გამოადგეს. ზეექვსეულში რომ ვყოფილიყავით, წასვლას კიდევ რამდენიმე თვით დავახანებდი. ახლა, როცა „ბათუმს“ დასარჩენად მოუწევს ბრძოლა, მაჭუტაძის საპენსიოდ გამზადებაც უპრიანად მომეჩვენა.

**— თქვენი გამოცდილება ხომ „ბათუმს“ სწორედ ძნელბედობის ჟამს წაადგებოდა?**

— დარწმუნებული ვარ, გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილს უპრობლემოდ შეინარჩუნებს. ეჭვი რომ შემპარვოდა, არ წავიდოდი, ახალი, ახალგაზრდული გუნდი კეთდება და ფინანსური პრობლემებიც უკან დარჩა.

**— კარიერას ახლა რომ იწყებდეთ, რას შეცვლიდით?**

— საქმეს სხვაგვარად წავიყვანდი. ვარჯიშს და ოსტატობის ამაღლებას მეტ დროს დავუთმობდი, ვეცდებოდი, პროფესიონალად ჩამოვყალიბებულიყავი, ყველაფერს ერთად არ მოვინდომებდი და დროს ფუჭად არ გავფლანგავდი. ჩემს ახალგაზრდა მეგობრებსაც ამას ვურჩევ — ცოტა მოითმინონ, გაიჭირვონ და გასართობად დრო მერეც გამოინახება.

ერთიცაა, ახლა სხვა დროა, არჩევანიც თავსაყრელია და თუ ნიჭიც დაგებედა, შეუმჩნეველი არ დარჩები. ჩემს დროს კი ერთი „დინამო“ იყო და იქ მოხვედრა 17 წლის ბიჭისთვის წარმოუდგენელი გახლდათ.

**— 106 გატანილი გოლიდან რომელია თქვენთვის დაუვიწყარი?**

— იქნებ არც დაიჯეროთ, მაგრამ იმ გოლების უმეტესობა დღესაც თვალწინ მიდგას და აღწერაც შემიძლია, მაგრამ გამორჩეულად ქუთაისის „ტორპედოსთან“ მაკრატელათი გატანილისა მეამაყება, საოცარი სილამაზის გოლი კი გამომივიდა.

**— იმაზე თუ გიფიქრიათ, მომავალში რა უნდა აკეთოთ?**

— რვა წლის ვიყავი, ბათუმის საფეხბურთო სკოლას რომ მივაკითხე. მას აქეთ 26 წელიწადი მშობლიური ქალაქის გუნდებში ვტრიალებდი. იქ ნებისმიერი ყველა კუნჭული ახლობელია, არც ერთ სხვა საქმეს ისე ზედმიწევნით არ ვიცნობ, როგორც ბათუმის ფეხბურთს. ხელმძღვანელობა დამპირდა ახალ სამსახურს, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუ „ბათუმთან“ ყოფნის შანსი მომეცემა.

**მამუკა ძვანტალიანი**



პაატა მაჭუტაძემ (მარცხნივ) ბურთი და მოედანი ახალგაზრდებს დაუთმო

# შუშაკმა მეორე დინამო განიკითხა

## ორი ფრიადი, ორი კარგი, ერთი დამაკმაყოფილებელი...



გაჩო კიკილაშვილის ფოტო



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

ივო შუშკი და ზურაბ მამალაძე

**კვიპროსულ** შეკრებაზე მყოფმა „დინამომ" მეოთხე საკონტროლო მატჩი ითამაშა. თბილისელთა მეტოქე რუსეთის პირველ ლიგაში საამსეზონოდ ალზევებული სარანსკის „სვეტოტეხნიკა" გახლდათ და 0:2 — დინამოელები ასეთი ანგარიშით დამარცხდნენ.

ივო შუშაკმა მეორე შემადგენლობით ათამაშა გუნდი, რაც ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ გუშინწინ მისმა რჩეულებმა „ანართოსისს" ბევრი ჯანი შეალიეს.

გუშინ კი „დინამოს" ეს ფეხბურთელები წარმოადგენდნენ: *მამალაძე; მაზიაშვილი, ვაშაკიძე, კანდელაკი; კარლოსი, სახვაძე, მანჩხავა (კვირკველია 46), მანწკავა, სამხარაძე; იაშვილი, მიქაძე (ბობოხიძე 46).*

პირველი ტაიმი უგოლოდ მიილია. ზურაბ მამალაძემ ერთხელ მეტად ძნელი ბურთი მოიგერია, კარლოსმა ჯარიმიდან ხარიხას გაარტყა, ხოლო სანდრო იაშვილის თავურზე რუსთა მეკარემ იმარჯვა.

შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე „სვეტოტეხნიკას" შემტევმა რეტკინმა თავური დაურტყა მამალაძეს, „დინამოს" მეკარემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე იმავ რეტკინმა შეაგდო.

გოლიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ ირაკლი სამხარაძემ რუსთა მეკარეს შეატოვა იაშვილი, რომელმაც მახვილი კუთხიდან მიზანი ვერ გაისწორა.

მალე იაშვილს კვლავ მიეცა შანსი, მაგრამ მისი თავური ხარიხას მოხვდა.

83-ე წუთზე დინამოელებს მეტოქის კონტრშეტევა გაეპარათ და მოროზმა ყველაფერს წერტილი დაუსვა — 0:2.

„სვეტოტეხნიკაში" რუსეთის უმაღლესლიგამოვლილი რამდენიმე ფეხბურთელი გამოდის. მათგან ყველაზე გამორჩეული ოლეგ ვერეტენიკოვი გახლავთ, რომელსაც რამდენიმე ჩინებული სეზონი უთამაშია ვოლგოგრადის „როტორში", ის გუშინაც გუნდის სული და გული იყო.

„დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ შუშაკის მატჩისშემდგომი კომენტარიც მოგვაწოდა: „მეორე შემადგენლობის ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალება მივეცით. შედეგით უკმაყოფილო ვარ — ზოგიერთმა ფეხბურთელმა სუსტად ითამაშა. ეს მატჩი ამ შემადგენლობისთვის კარგი ვარჯიში და გაკვეთილი იყო. ამ თამაშმა დამანახა, თუ ვის შემიძლია დავეყრდნო მეორე შემადგენლობიდან. ძალიან კმაყოფილი ვარ ირაკლი ვაშაკიძითა და არჩილ სახვაძით, კარგად გამოიყურებოდნენ სამხარაძე და კარლოსი, ურიგოდ არ უთამაშია იაშვილს. რაც შეეხება მამალაძეს, ის დღითიდღე უმატებს თამაშს და მის მომავალს დრო გვიჩვენებს — გუნდში ორი კარგი მეკარე გვყავს, მამალაძე კი მესამე მეკარედ შენანება."

**დავით თავართქილაძე**

# მწვრთნელნი წავლენ და წამოვლენ, ალადაშვილი დარჩება

## ცრურწმენა გორდას ფულს დაუგვიანებს

**კვლავაც ბუნდოვანია** რუსთაული „გორდას" სამომავლო პერსპექტივა. ერთ დროს მოწინავე ქართული კლუბი არასაფეხბურთო განწყობის მშობლიური ქალაქის ხელმძღვანელობის იმედადაა.

მერიის კეთილი ნების მოლოდინში კლუბის დირექტორთა საბჭო პრობლემებს ვერ აუდის. ქალაქის მამების დახმარება კი წინასასეზონოდ მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ მერიამ „გორდას" რამდენიმე აბონემენტი გაუსაღა. ეს იყო და ეს, მას შემდეგ იმედით და დაპირებებით მოდიან რუსთაველები.

იმედი იყო გუნდში ამას წინათ გია გეგუჩაძის მისვლის მიზეზიც, მაგრამ რუსთაულ პრობლემებს ხუთწლიანი პროექტით შეჭიდებულ თბილისელ მწვრთნელს რეალობამ ორ თვეში დააყრევინა ფარ-ხმალი.

„გორდას" პრეზიდენტმა სერგო ბუილიშვილმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურა გეგუჩაძის წასვლა. არადა, როგორც იცით, „გორდას" დირექტორთა საბჭო ცდილობდა, გეგუჩაძისთვის აზრი შეეცვლევინებინა, თუმც უშედეგოდ — გეგუჩაძე საბოლოოდ დაშორდა რუსთაულ კლუბს.

ვინ გაწვრთნის „გორდას"? რალა თქმა უნდა, ლამის გუნდის თილისმად ქცეული იასონ ალადაშვილი, რომელსაც „გორდაში" ყოფნის 35-წლიანი სტაჟი უმაგრებს ზურგს. ძნელიცაა ზუსტად იმის გახსენება, თუ რამდენჯერ დაუბრუნდა ალადაშვილი მთავარი მწვრთნელის სკამს. „გორდაში" მცირე ფინანსური იმედის გაჩენის შემთხვევებს ახალი მწვრთნელის მისვლა მოსდევს. ასეთ დროს იასონ ალადაშვილი დირექტორატში გადადის, მერე კი ყველაფერი ძველებურად ვითარდება. მოწვეული მწვრთნელი მიდის და ალადაშვილიც დიდსულოვნად უბრუნდება გუნდის მესაჭეობას.

გამონაკლისი არც ამჯერად მოხდა — სამეორეეტაპოდ იასონი გაუძღვება „გორდას", ოღონდ ჯერაც გაურკვეველია, ვისთან ექნება საქმე — გუნდიდან წამსვლელთა ვინაობა ცნობილი არ არის. ყველაფერი მას შემდეგ გადაწყდება, როცა ფეხბურთელებს დავალიანებას გაუსტუმრებენ. როგორც იცით, ბუილიშვილი ხელფასების დარიგებას 25 იანვრისთვის აპირებდა, მაგრამ ამ დღეს გორდელები ფულს ვერ მიიღებენ, რადგან შაბათი დასვენების დღეა და საბანკო ოპერაციები შეუძლებელია...

ფულის გაცემას ორშაბათს, 27 იანვარს, ვაპირებდით, მაგრამ ცრურწმენამ შეგვიშალა ხელი, თურმე ქართველებს ორშაბათს არ უყვართ ფულის გაცემა, ამიტომ ვისგანაც სახელფასო თანხას ველოდებით, სამშაბათს თუ მოახერხებს დაპირებულის შესრულებას და ჩვენც 28 იანვარს გავისტუმრებთ ფეხბურთელთა დავალიანებასო — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას სერგო ბუილიშვილმა.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ იასონ ალადაშვილის თავკაცობით „გორდას" უკვე დაწყებული აქვს სამეორეეტაპო სამზადისი. გუნდი, რალა თქმა უნდა, რუსთავში ემზადება, სხვაგან გახედვაზე ფიქრიც წარმოუდგენელია. ის კი არა, თუ ქალაქის ხელმძღვანელთა წყალობა ვერ მიიღეს რუსთაველებმა, ეგებ „ფოლადზე" ვარჯიშიც უნაყოფო გამოდგეს.

**ბაადა ძვანტალიანი**



იასონ ალადაშვილი



გურამ ფოლადაშვილის ფოტო

გია გეგუჩაძე

*ზესტაფონის „მეტალურგმა" ბევრი იარა თუ ცოტა, ჯურღმულიდან გასაძრომ ნაპრალს მაინც მიაგნო. ახლა მთავარია, იმერლები ქვევრში ჩარჩენილი აბესალომივით არ ჩაიჭრნენ და თავის გარდა ტანიც გააძვრინონ სამშვიდობოს...*



გაჩო კიკილაშვილის ფოტო

ნუგზარ მდივანი

# გამგებელმა გაიგო, გამგებმაც გაიგოს

**ორიოდ დღის** წინ გაცნობეთ, რომ „მეტალურგის" მომავალი მალე გაირკვეოდა. ზესტაფონელთა სასიკეთოდ, როგორც ჩანს, გასაჭირი წარსულს ჩაბარდება. გუნდის დახმარება ქალაქის გამგებელ ელგუჯა კვეტენაძეს გადაუწყვეტია და გუშინ საგანგებო შეხვედრაც შემდგარა „მეტალურგის" მომავალ მეპატრონესთან.

სავარაუდოდ, ამ ამბავს წერტილი მალე დაესმება და შეგულიანებული მეტალურგებიც უმალ საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას დაიწყებენ. მთავარმა მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ ძირითადი ბირთვის შენარჩუნებაც შეძლო და ფინანსური პრობლემების მოგვარების შემდეგ, ალბათ, არც ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებაზე იტყვის უარს.

გუშინ ზესტაფონის გამგებელ ელგუჯა კვეტენაძეს დავუკავშირდით. მართალია, რაიონის თავკაცმა კონკრეტულ საუბარს თავი აარიდა, მაგრამ მისი ნათქვამიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ „მეტალურგს" მალე პატრონი გამოუჩნდება.

**— როგორც ვიცით, დღეს შეხვედრა გქონდათ „მეტალურგის" შესაძლო მეპატრონესთან.**

— თქვენ საიდან გაიგეთ? არ დაგიმალავთ. დღეს მართლაც შევხვდი გუნდის ბედით დაინტერესებულ პირებს. ვისაუბრეთ და, ალბათ, ყველაფერი მალე გადაწყდება.

**— მათ ვინაობას ვერ გაგვიმხელთ?**

— გთხოვთ, სწორად გამიგეთ. ამ ეტაპზე ვერაფერს დაგიკონკრეტებთ. რამდენიმე დღეში ყველაფერს გეტყვით.

**— ის მაინც გვითხარით, შეხვედრით კმაყოფილი თუ დარჩით. რეალურია კლუბის სათავეში ახალი ხალხის მოსვლა?**

— დიახ, ალბათ, ასე მოხდება. „მეტალურგს" ახლა უჭირს და ვეცდებით, დავეხმაროთ.

ჩვენი ინფორმაციით კი „მეტალურგის" სათავეში მიმსვლელი პიროვნება ქართულ ფეხბურთში უცხო კაცი სულაც არ არის. პირიქით, რამდენიმე თვის წინ სწორედ ის პატრონობდა ამ კლუბს, თუმც მერე ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. გამოიცანით? დიახ, სავარაუდოდ, ზესტაფონის „მეტალურგის" ჭაობიდან ამოყვანას ნუგზარ მდივანი ეცდება.

**კახა შალამბერიძე**



ნიუკასლი — ბოლტონი. ალან შირერი ბურთს ჰაერში პირველი შეეგება

# ნელა ვერ გაივლი, ბიჭო!

## პარკერი გოლებს და ყვითლებს აგროვებს

### ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩები**

**ჩარლტონი 4:2 ვესტ ჰემი**

0:1 სისე (19), 1:1 იენსენი (42), 2:1, 3:1 პარკერი (45, 52), 3:2 ფიში (69ს.კ.), 4:2 კიშიშევი (90)

**ჩარლტონი:** დ. კელი, რუფუსი, ფიში, ფორტუნი, კიშიშევი, იუელი, კ. იენსენი (მიხაელ სვენსონი 88), პარკერი, კ. პაუელი, ლისბი (კონჩესკი 72), ბარტლეტი (ჯ. იოჰანსონი 85)
**მწვრთნელი:** ალან კერბიშლი
**ვესტ ჰემი:** ჯეიმსი, ლომასი, ბრინი, დეილი, მინტო (უინტერბერნი 73), ბოიერი, ე. სისე (დ.ჯონსონი 63), კარიკი, ტ. სინკლერი, ლ. ფერდინანდი, დეფო
**მწვრთნელი:** გლენ რიოდერი
**გაფრთხილება:** ფერდინანდი
**მსაჯი:** ულსტენჰოლმი
26 340 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:0 ბოლტონი**

1:0 ჯენასი (18)
**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, კოლდუელი, დაბიზასი, ბერნარი, სოლანო (კერი 84), დაიერი, ჯენასი, რობერი, შირერი, ბელამი
**მწვრთნელი:** ბობი რობსონი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, მენდი, ნგოტი, ბერგსონი, ბერნესი, ჩარლტონი, ნოლანი (ფეისი 81), ფრანდსენი (კამპო 10), რ. გარდნერი, ჯორკაეფი, პედერსენი (რიკეტსი 67)
**მწვრთნელი:** სემ ალარდაისი
**გაფრთხილება:** დაბიზასი, ბერგსონი, კამპო
**მსაჯი:** დოუდი
52 005 მაყურებელი

„ნიუკასლ იუნაიტედმა“ ჯერმენ ჯენასის ერთადერთი გოლის წყალობით დასცა „ბოლტონი“ და პრემიერლიგის ცხრილში მესამე ადგილიდან გაძევა „ჩელსი“. ახლა „კაჭკაჭები“ ორი ქულით ჩამორჩებიან „მანჩესტერ იუნაიტედს“ და შვიდით ლიდერ „არსენალს“.

ოთხშაბათს მეორე გადადებულ შეხვედრაში კი მორიგი მარცხი იწვნია „ვესტ ჰემმა“ „ჩარლტონ ატლეტიკთან“ და კვლავ ცხრილის ფსკერზეა.

„ნიუკასლმა“ ზედიზედ მეთერთმეტე საშინაო თამაში მოიგო. ჯენასმა კრეიგ ბელამის დაბალი პასი აქცია გოლად, ხოლო ლიდერმა და კაპიტანმა ალან შირერმა მოგვიანებით ბურთი ძელს გაარტყა.

„ბოლტონი“, რომელსაც ერთი საფეხური აცილებს გასავარდნთა საძეულს, იოლად არ დანებებულა და მეორე ტაიმში „სენტ ჯეიმსის პარკზე“ მოსაწონი ფეხბურთიც ითამაშა. გასათანაბრებლად სულ ცოტა დააკლდა ფრანგ იური ჯორკაევს, რომლის დარტყმულსაც ბოლო წამს მისი თანამემამულე, „ნიუკასლის“ მცველი ოლივიე ბერნარი გადაეფარა.

ჩარლტონში კი თითქოს ნავსი უნდა გატეხილიყო, „ჩაქუჩთა“ ფრანგმა ნახევარმცველმა ედუარდ სისემ სამხრეთლონდონელები ადრიანად დააწინაურა. ეს სისეს პირველი ვესტჰემური გოლიც იყო.

მაგრამ გამოხდა ხანი და მასპინძლებმა ათწუთიან მონაკვეთში სტუმრებს სამი გოლი შეუგდეს. კრისტიან დეილის მიერ შონ ბარტლეტის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა დენ კლაუს იენსენმა გოლად აქცია — 25 მეტრიდან მარჯვენა ზედა კუთხეში ჩააჭედა. ამ გოლს სკოტ პარკერმა წყვილი ზუსტი დარტყმა მიაყოლა პირველი ტაიმის ბოლო და მეორე ტაიმის მეშვიდე წუთებზე, რითაც ცხადი შეიქნა, რომ „ვესტ ჰემი“ ზედიზედ მოუგებელ 13 მატჩს მეთოთხმეტესაც მიამატებდა.

ამის მერე თამაშმა ინტრიგა დაკარგა და მარკ ფიშის ავტოგოლსა და რადოსლავ კიშიშევის პირველ ჩარლტონურ გოლს აღარაფერი შეუცვლია, თუმცაღა „ჩაქუჩთა“ მენეჯერ გლენ როედერს სალაპარაკო მისცა, სტუმრად ორ გოლს რომ გაიტან, მოგება თუ არა, ფრე ნაღდად გეკუთვნისო.

ერთ ინციდენტზეც აუცილებლად უნდა ვთქვათ: პარკერი ლი ბოიერისთვის გვერდის ავლის [illegible] ნდონელთა გოქმაქმა [illegible] კისრით დაითრია. პარკერმა იუკადრისა და მსაჯმა ორივენი გააფრთხილა. ეს პარკერის მეორე გაფრთხილებაა ბოლო 13 შეხვედრაში.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 24 | 16 | 4 | 4 | 52:25 | 52 |
| მანჩესტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:24 | 47 |
| ნიუკასლი | 24 | 14 | 3 | 7 | 40:31 | 45 |
| ჩელსი | 23 | 11 | 8 | 4 | 41:21 | 41 |
| ევერტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 30:29 | 39 |
| ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 32:23 | 38 |
| ტოტენჰემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35:34 | 38 |
| საუთჰემპტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 27:23 | 36 |
| ბლექბერნი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:26 | 34 |
| სიტი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:34 | 34 |
| ჩარლტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 30:32 | 33 |
| მიდლსბრო | 24 | 8 | 6 | 10 | 27:24 | 30 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 5 | 11 | 22:25 | 29 |
| ლიდსი | 23 | 8 | 4 | 11 | 29:29 | 28 |
| ფულემი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:27 | 27 |
| ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 20:32 | 26 |
| ბოლტონი | 24 | 4 | 9 | 11 | 24:39 | 21 |
| სანდერლენდი | 24 | 4 | 7 | 13 | 16:34 | 19 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 4 | 5 | 14 | 17:35 | 17 |
| ვესტ ჰემი | 24 | 3 | 8 | 13 | 26:47 | 17 |



ჩარლტონი — ვესტ ჰემი. თავისი წილი ყვითელი ბარათი ლი ბოიერმაც იხილა

# დიდი მადლობა, პოლ

## სქოულზმა ფანტასტიკის მოყვარულები კარდიფში დაპატიჟა

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**ბლექბერნი 1:3 მანჩესტერი (1:1)**

1:0 ენდი კოული (12), 1:1, 1:2 სქოულზი (30, 42), 1:3 ვან ნისტელროი (77პ)

*ფინალში 2 მარტს კარდიფის „მილენიუმზე“ „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდებიან*

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 3:1 მოუგო „ბლექბერნ როვერსს“ მისსავე „ევუდ პარკზე“ თასის საპასუხო მატჩში, რაც ნიშნავს, რომ წლევანდელი ფინალი სანაქებო იქნება — 2 მარტს, კარდიფის „მილენიუმზე“ „მანჩესტერი“ „ლივერპულს“ შეხვდება.

მუდამ ყოჩაღმა, ბოლო ხანს კი სულაც შეუდარებელმა პოლ სქოულზმა ღუბლი მიითვალა და ბოლო ექვს თამაშში შვიდი გოლი დაუგროვდა. სქოულზის გოლებამდე კი „ბლექბერნი“ იგებდა ყოფილი მანჩესტერელის, ენდი კოულის გოლით. ხოლო შეხვედრის ბოლო ზუსტი დარტყმა რუუდ ვან ნისტელროისა იყო, რომელმაც ბრედ ფრიდელს პენალტით გაუტანა.

ამგვარად, ლიგის თასისთვის ბრძოლას მისი ახლანდელი მფლობელი ჩამოშორდა. „იუნაიტედი“ კი პირველად გავიდა ფინალში 1994 წლის მერე. მაშინ მანჩესტერელებმა თასი „ასტონ ვილას“ დაუთმეს.

„მანჩესტერს“, მრავალ ტიტულთა მომგებ გუნდს, ლიგის თასი მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული, 1992 წლის ფინალში 1:0 მოუგო „ნოტინგემ ფორესტს“, ხოლო „ლივერპულს“ 1983 წლის ფინალში გადაეყარა და დამატებით დროში 1:2 წააგო. აქვე გავიხსენოთ, რომ „მანჩესტერი“ და „ლივერპული“ ფინალურ მატჩში ბოლოჯერ 1996 წელს შეხვდნენ, ოღონდ ის ასოციაციის თასის ფინალი იყო და „იუნაიტედმა“ 1:0 იმარჯვა.

„დარწმუნებული ვარ, დიდებული ფინალი გველის — უთხრა ტელეკომპანია SKY-ის ხერ ალექს ფერგიუსონმა — ჩვენი ნებისმიერი დაპირისპირება ფანტასტიკური გამოდის ხოლმე“.

არადა, ბლექბერნული მატჩი ისე დაიწყო, „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ ფინალი საეჭვოდ მოჩანდა. მასპინძელთა თურქმა თუგაიმ კოულს ბურთი ჩაუკიდა და მანაც „ოლდ ტრეფორდიდან“ უბოდიშოდ გაშვებისთვის შური ფაბიენ ბარტეზზე იძია.

ამ გოლმა ფრთები შეასხა თასის მფლობელს, მაგრამ ფრენა დიდხანს არ დასცალდა. თვრამეტი წუთის შემდეგ პოლ სქოულზს დევიდ ბექჰემის ჩაწოდებული ბურთი მკლავზე მოხვდა და კარის ხაზს მიღმა შეგორდა.

სქოულზის მეორე გოლი, პირველისგან განსხვავებით, საკამათო არ გამხდარა. გარი ნევილმა სიჩქარე აკრიფა და სანაქებო დრიბლინგით გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე. საჭირო მომენტში კი ბურთი სქოულზს გადააბარა და მანაც უკვე თავისიანები დააწინაურა.

მეორე გოლმა ბოლო მოუღო მასპინძლებს და, მართალია, ენდი კოულს ერთი ბრწყინვალე შანსიც მიეცა, „ბლექბერნი“ თამაშის გადამრჩენ გუნდს აღარ ჰგავდა. „იუნაიტედმა“ მთლიანად დაიპყრო მოედანი და კიდევ რამდენიმე გოლი ფრიდელის ყოჩაღობის გამოისობითღა ვერ გაიტანა.

თუმც ბოლოს ფრიდელიც გატყდა და ვან ნისტელროი საპენალტედ დასცა, თან ისე უხეშად, რომ ყველა წითელ ბარათსაც იმსახურებდა. ვან ნისტელროიმ კი სამაგიერო ზუსტად შესრულებული პენალტით გადაუხადა და მატჩიც ასე დასრულდა.

ალექს ფერგიუსონმა, სანამ „მანჩესტერ“ — „ლივერპულის“ ფინალზე ლაპარაკს შეუდგებოდა, სქოულზი აქო და ადიდა, ასეთი ფინალი რომ გველის, მადლობა მას გადაუხადეთო.

**ირაკლი ნინიძე**



ბლექბერნი — მანჩესტერი. ბრედ ფრიდელმა რუუდ ვან ნისტელროი საპენალტედ წააქცია

### ესპანეთი

# ჭკვიანი კაცია ირურეტა

**თასის 1/4 ფინალი**
**I მატჩები**

**დეპორტივო 1:0 მურსია**
1:0 დუშერი (85)

**უელვა 1:0 ატლეტიკო**
1:0 ვიკეირა (54)

**სევილია 1:1 ოსასუნა**
1:0 რეიესი (17), 1:1 ხავი ნავარო (30ს.კ.)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 27 იანვარს*

თასის მფლობელ „დეპორტივოს“ დიდი ბრძოლა გადახდა და ძლივს დაამარცხა სეგუნდადივიზიონელი „მურსია“ შეხვედრის მიწურულს გატანილი ერთი ბურთით.

მურსიელები მედგრად იბრძოდნენ, უფრო სწორად კი მედგრად იცავდნენ თავს დისციპლინირებული დაცვის ხარჯზე, თორემ შეტევაში ბევრიც არაფერი გაუკეთებიათ. ამის გამოისობით, ყველა მეტოქის შეუფასებლობის გამოც, ლაკორუნიელები კარგა ხანს უაზროდ აწყდებოდნენ მეტოქის დაცვის ჯებირს და სარგებელს ვერ ნახულობდნენ.

შესვენებისას, როგორც ჩანს, ხავიერ ირურეტამ ჭკვიანურად დაარიგა შეგირდები და „დეპორტივოს“ იერიშებიც მეტად სახიფათო გახდა.

გამორჩეული მოთამაშე მანუელ პაბლო იყო, რაკი საგოლე მომენტი მეტწილად მისი პასებით იქმნებოდა. ბოლოსკენ, როცა „დეპორტივოს“ ზეწოლამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მანუელ პაბლომ კარგი პასი გაუჭრა ალბერტო ლუკეს, რომელსაც ხელი მიეცარა. მერე კი პაბლოს პასმა ალდო დუშერამდე მიაღწია და გოლიც გავიდა.

ოთხშაბათსავე პრიმერადივიზიონის აჩანჩალა „უელვამ“, ვიკეირას თვალსაჩინო საჯარიმო დარტყმით დაამარცხა მადრიდის „ატლეტიკო“, „სევილიამ“ და „ოსასუნამ“ კი ფრედ ითამაშეს.

**გიორგი დარჯანია**




ნიცა — პსჟ. მასპინძელ კაბა დიავარას გაბრიელ ჰაინცე თავზე წამოაჯდა

# შურისძიება სადამ ჰუსეინის ტაქტიკით

## მოლდოვანმა და კამარამ ტყუპები გააკეთეს

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIII ტური**

**ლიონი 4:1 სოშო**

1:0 ლუინდულა (28), 2:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (39), 3:0 ლუინდულა (44), 4:0 შარვე (48ს.კ.), 4:1 პაგი (72)

**ნიცა 0:0 პსჟ**

**აიაჩო 1:0 ტრუა**

1:0 დიომედი (27)

**ბორდო 4:2 გენგამი**

1:0 პაულეტა (17), 2:0 სავიო (42), 3:0 დარშევილი (52), 3:1 კარნო (61), 4:1 პაულეტა (65), 4:2 კარნო (70)

**ლე ავრი 1:0 მონპელიე**

1:0 ჩიმბონდა (90)

**ლილი 0:1 სტრასბური**

0:1 მ. ბაგაიოკო (88)

**მონაკო 1:1 ლანსი**

0:1 კორიდონი (14), 1:1 სკილაჩი (55)

**ნანტი 4:1 სედანი**

1:0 გ. პუიოლი (51), 2:0 ზიანი (53), 3:0 სავინო (62), 3:1 ა. კამარა (86), 4:1 მოლდოვანი (87)

**რენი 0:1 ბასტია**

0:1 ბენ-საადა (58)

**ოსერი 0:0 მარსელი**

**საფრანგეთის** ჩემპიონატი სამთავიან გველეშაპს დაემსგავსა, სამეულისგან ყველაზე სტაბილური „ნიცაა". სხვები მილი-მოლიან, მაგრამ ნიცელები მუდმივად სამეულში არიან. ამჯერად მთავარი თავი „ლიონია", რადგან მას ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. ტურის პირველ მატჩში, სტუმრად „ოსერთან" ნათამაშები ფრის შემდეგ, დროებით ალზევებული „მარსელი" მესამეობას დასჯერდა.

წინა უქმეებზე იყო, „სოშომ" „ლიონი" ლიგის თასის მერვედფინალიდან რომ გააგდო. შურისძიების დრო მალე დადგა. ჩემპიონმა მჩაგვრელი „ჟერლანის" სტადიონზე გამოიჭირა და პირველი ტაიმის შემდეგ ფეხბურთის თამაშის ინტერესი დააკარგვინა. მთავარი მსაჯი პასკალ გარიბიანი 25 ათას ქომაგთან ერთად სოშოელთა გვემის მოწმე გახდა.

კრისტოფ დელმოტის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ედმილსონმა ლუინდულას შორეულ ძელთან გადაუგორა და მასაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

ჟან მარკ შანელის პასით ჟუნინიომ იხეირა, მერე კი ლუინდულამ გოვუს თავით დაგდებული მეორედ შეირგო.

შესვენების შემდეგ ჟუნინიოს წამოწყებული საქმე ლორენ შარვემ საკუთარ კარში ლამაზად ჩაჭრილი ბურთით დაასრულა. მასპინძლები გატანილი გოლებით დანაყრდნენ და სადამ ჰუსეინივით დროის გაყვანა დაიწყეს. სტუმრებმა ერთი ცალი მაინც გაჩარხეს, თან საკმაოდ კარგი. შარვეს პასით მიკაელ პაგიმ საჯარიმოს ხაზიდან თავით კუპეს აუღებელი დაურტყა.

ასეთივე ანგარიშით დასრულდა მატჩი ნანტში, სადაც იქაურებმა წინა ტურში „ლანსისგან" გაბდღვნილი „სედანი" დაჟეჟეს. „სტად დე ლა ბოჟუარმა" შესვენებამდე უგოლოდ მოიწყინა, სამაგიეროდ, მეორე ტაიმი დაიწყო საამოდ. ფრედერიკ და როშას გარჯა კარის წინ გაჭრილმა გრეგორი პუიოლმა დაუფასა, რომლის ზუსტი დარტყმულითაც ანგარიში გაიხსნა. ორიოდ წუთში მარამა ვაირუამ სტეფან ზიანის გაატანინა, ხოლო მახვილი კუთხიდან ნიკოლა სავინოს გასროლილს სედანელმა მეკარემ ოდენ თვალი გააყოლა.

შეხვედრის მიწურულს მეტოქეებმა ტყუპებივით გოლები გაცვალეს. სტუმარმა ანრი კამარამ და შეცვლაზე შესულმა მასპინძელმა ვიორელ მოლდოვანმა მსგავსი, მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთები მიაბრძანეს ერთურთის კარში.

ბომბარდირთა თავში პედრო პაულეტა მოექცა, რომელმაც დუბლი შეასრულა. პორტუგალიელმა პირველი გოლი ცენტრიდან წამოწყებული კომბინაციის შედეგად შეაგდო.

მას ბრაზილიელი სავიო შეეშველა საჯარიმოს რკალიდან მოულოდნელი დარტყმით. მისმა დაკრულმა „გენგამის" მცველის, მილოვან სიკიმიჩის ფეხზეც გაიარა და ისე შევარდა ლორან ლე კრომის კარში.

მეორე ნახევარში ორჯერ მეტი გავიდა, ვიდრე პირველში. ჟან კლოდ დარშევილი ბურთიანად მეკარის ცხვირწინ აღმოჩნდა და ფეხი არ აჰკანკალებია, სხვაობა სამამდე გაზარდა.

ამის შემდეგ გონს მიმხვდურნიც მოეგნენ, მაგრამ დააგვიანეს, სტეფან კარნოს დუბლმა ისინი მარცხისგან ვერ იხსნა. კარნომ ორი ერთიმეორეზე მჯობი გოლი მიითვალა. ჯერ კრისტოფ ლე რუს ნაბოძები ბურთი ულრიხ რამესგან მარცხენა კუთხეში შეაჭიკარტა, მერე კი აუტის ხაზის სიახლოვიდან ისეთი საჯარიმო დარტყმა შეასრულა, რამე და რუმე ერთადაც უძლურნი იქნებოდნენ. კარნოს ორ გოლს შორის ერთი თავისი პაულეტამაც გაიფორმა და უხვგოლიანი მატჩიც ასე დასრულდა.

აღსანიშნავია ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის „რენის" ზედიზედ მეორე მარცხი ბრწყინვალე სერიის შემდეგ — ამჯერად რენელები შინა გარემოში დამარცხდნენ „ბასტიასთან". კუნძულელებმა პირველი საგარეო სამი ქულა მიითვალეს. ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის შუაწელში კორსიკელთა კაპიტან ფლორიან მორისის გადაცემით შუქი ბენ-საადამ გაჩარხა.

„ბასტიას" თანაკუნძულელმა „აიაჩომაც" იმარჯვა. „აიაჩომ" მასზე უარეს დღეში ჩავარდნილ „ტრუას" ბერნარ დიომედის კინკილა გოლით სძლია. შესვენების შემდეგ მსაჯმა სტეფან მულინმა მასპინძელი ბრუნო როდრიგესი გააძევა, მაგრამ ტრუელები დაჩაჩანაკებულან, ვერც ამ უპირატესობით ისარგებლეს.

ერთმანეთს თითოჯერ გაუტანეს „მონაკომ" და „ლანსმა". აქ სტუმრები შარლ ედუარდ კორიდონის ადრეული გოლით იგებდნენ. დამხვდურნი სებასტიან სკილაჩის გოლმა მარცხისგან იხსნა.

„ლე ავრის" ქომაგები დიდხანს ელოდნენ თავისიანთა გამარჯვებას და ისე ჩანდა, ვერც ამ მატჩში ეღირსებოდნენ ზეიმს. თუმცა ბრუნო დერიენმა ფილტვები ჩასასტვენად რომ დაბერა, ზუსტად მაშინ პასკალ ჩიმბონდამ გამარჯვებისა შეაგდო.

ლაჟვარდოვანი სანაპირო დედაქალაქს არ დაუწვა. ნიციდან პსჟ-მ, დიდი ბრძოლის მიუხედავად, ქულის მეტი ვერ წაიღო. უგოლო მატჩი შვიდი ყვითელი და ერთი წითელი ბარათის შეიღება. ბარათებში პარიზელებმა იმარჯვეს. ოგბეჩე, ალოიზიო და ჰაინცე ყვითლად შეაფერადეს, ხოლო ერიკ პოლამ სტუმარი ალექს ნიარკო ჯერ კიდევ მერვე წუთზე რომ გააფრთხილა, 87-ეზე გააძევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 23 | 11 | 6 | 6 | 41:28 | 39 |
| ნიცა | 23 | 10 | 9 | 4 | 28:16 | 39 |
| მარსელი | 23 | 11 | 6 | 6 | 23:20 | 39 |
| ოსერი | 22 | 10 | 7 | 5 | 22:17 | 37 |
| მონაკო | 23 | 9 | 9 | 5 | 33:21 | 36 |
| სოშო | 22 | 9 | 7 | 6 | 24:18 | 34 |
| გენგამი | 23 | 10 | 4 | 9 | 33:32 | 34 |
| პსჟ | 23 | 8 | 9 | 6 | 30:21 | 33 |
| ბორდო | 22 | 9 | 6 | 7 | 30:22 | 33 |
| ლანსი | 22 | 8 | 8 | 6 | 23:20 | 32 |
| ნანტი | 21 | 9 | 4 | 8 | 27:25 | 31 |
| ბასტია | 23 | 9 | 4 | 10 | 24:28 | 31 |
| სტრასბური | 22 | 8 | 7 | 7 | 25:31 | 31 |
| ლილი | 22 | 7 | 7 | 8 | 20:27 | 28 |
| რენი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:26 | 26 |
| სედანი | 22 | 6 | 6 | 10 | 24:34 | 24 |
| აიაჩო | 23 | 5 | 8 | 10 | 18:28 | 23 |
| ლე ავრი | 23 | 5 | 8 | 10 | 16:26 | 23 |
| მონპელიე | 23 | 3 | 9 | 11 | 19:31 | 18 |
| ტრუა | 22 | 3 | 7 | 12 | 14:24 | 16 |

**II დივიზიონი**

21-ე ტური: ტულუზი — ლე მანი 2:0; ამიენი — ნანსი 0:0; შატორუ — ვალანსი 1:1; კლერმონი — ვასკეალი 1:0; გრენობლი — კრეტეი 3:0; გენიონი — ბოვე 2:0; ისტრი — ნიორი 1:3; ლავალი — კაენი 3:2; ლორიანი — მეცი 2:0; რეიმსი — სენტ ეტიენი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:14 | 41 |
| ლე მანი | 21 | 11 | 6 | 4 | 28:18 | 39 |
| ლორიანი | 22 | 11 | 4 | 7 | 27:23 | 37 |
| შატორუ | 21 | 10 | 6 | 5 | 25:19 | 36 |
| გრენობლი | 22 | 8 | 9 | 5 | 28:14 | 33 |
| მეცი | 21 | 9 | 6 | 6 | 22:18 | 33 |
| ნიორი | 22 | 9 | 5 | 8 | 25:22 | 32 |
| კრეტეი | 20 | 6 | 10 | 4 | 26:22 | 28 |
| ლავალი | 20 | 7 | 6 | 7 | 21:22 | 27 |
| ამიენი | 21 | 7 | 6 | 8 | 16:17 | 27 |
| ვალანსი | 21 | 7 | 5 | 9 | 24:24 | 26 |
| კლერმონი | 21 | 7 | 5 | 9 | 23:30 | 26 |
| ბოვე | 20 | 6 | 6 | 8 | 11:12 | 24 |
| ვასკეალი | 21 | 5 | 9 | 7 | 16:20 | 24 |
| სენტ ეტიენი | 20 | 5 | 7 | 8 | 15:17 | 22 |
| კაენი | 21 | 4 | 10 | 7 | 23:27 | 22 |
| რეიმსი | 21 | 4 | 10 | 7 | 17:22 | 22 |
| ისტრი | 21 | 5 | 7 | 9 | 19:36 | 22 |
| გენიონი | 20 | 5 | 6 | 9 | 15:22 | 21 |
| ნანსი | 20 | 4 | 6 | 10 | 16:27 | 18 |

# მაკრატელი აკრიჭინდა...

## კალაძე იწყებს და „მილანი" იგებს

### იტალია

**თასის 1/4 ფინალი საპასუხო მატჩები**

**კიევო 2:5 მილანი (0:0)**

0:1 კალაძე (1), 0:2 ზეედორფი (43), 0:3 ტომასონი (45), 0:4 ზეედორფი (64), 1:4 ბეგეტო (69), 2:4 ფრანჩესკინი (81), 2:5 დალა ბონა (84)

კიევო: ამბროზიო, მენსა, ლორენცი, დანა, პეზარეზი, ლაზეტიჩი (დელა მორტე 66), დ. ანდერსონი, ნალისი, პასონი (ბეგეტო 40), ბირმოფი (დ. ფრანჩესკინი 46), მელისიერი

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

მილანი: აბიატი, შელვეგი (როკე ჟუნიორი 21), ლაურსენი, ნესტა, კალაძე, გატუზო, ბროკი, რედონდო, ზეედორფი (დალა ბონა 66), რუი კოშტა (ბორიელო 71), ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

7 350 მაყურებელი

**რომა 6:3 ვიჩენცა (2:1)**

0:1 ჟედა (4), 1:1, 2:1, 3:1 დელვეკიო (10, 21, 38), 4:1 ემერსონი (39), 4:2 შვოკი (45პ), 4:3 ვერონეზე (75), 5:3 ემერსონი (80), 6:3 კაფუ (87პ)

რომა: ანტონიოლი, პანუჩი, დელასი, ვ. სამუელი, კანდელა (ტომაზი 77), კაფუ, ემერსონი, დაკური, ლიმა, ტოტი (ა. კასანო 69), დელვეკიო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

13 056 მაყურებელი

**„მილანი"** და „რომა" იტალიის თასის ნახევარფინალისტები გახდნენ. ერთმაც და მეორემაც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში.

„რომას" მოწინაალმდეგე სერია B-ს ბინადარი „ვიჩენცა" გახლდათ. რომაელებმა 6:3 მოიგეს და, ახლა, ფინალისკენ გზად, თანაქალაქელ „ლაციოს" უნდა შეხვდნენ. ამ მატჩის პირველ ტაიმში მარკო დელვეკიომ ჰეთ თრიქი შეასრულა.

„მილანმა" ვერონაში „კიევოს" აჯობა 5:2. მილანელთა ხუთი გოლიდან ერთი და მეტად ეფექტური, მაკრატელათი, ქართველმა კახა კალაძემ გაიტანა.

ახლა კი დალაგებით, ჯერ „რომას" თამაშზე ვთქვათ, მერე „მილანისაზე".

ფაბიო კაპელომ ვიჩენცელებს უძლიერესი შემადგენლობა დაუპირისპირა, თუმცა, ბრაზილიელი ნახევარმცველის, ჟედას გოლით მეხუთე წუთზევე ჩამორჩა — ჟედამ დაბლა დაუმიზნა. თუმცა, მდგომარეობის გამოსასწორებლად რომაელებს სულ ხუთი წუთი დასჭირდათ: მარჯვნიდან კაფუმ გაიკვალა გზა და ბურთი კაპიტანს, ფრანჩესკო ტოტის გადააწოდა, რომელმაც დელ ვეკიოს დიდებული ასისტენტობა გაუწია.

21-ე წუთზე დელვეკიომ „რომა" დააწინაურა. ამ კომბინაციაშიც იგივე ფეხბურთელები, კაფუ და ტოტი ჩაერივნენ, ოღონდ პირიქით — ჯერ ტოტიმ გაიყვანა კაფუ კარგ პოზიციაზე, შემდეგ კი ბრაზილიელის პასით დელვეკიომ გოლი შეაგდო.

37-ე წუთზე ტოტიმ თანაგუნდელთა მესამე გოლს დაუდო სათავე. მისი გონივრული პასით ისევ დელვეკიო შეიჭრა მარცხენა მხრიდან მოწინაალმდეგის კარისკენ, შემდეგ შუისკენ შეუხვია და ჰეთ თრიქიც შეასრულა.

ამით დელვეკიომ დაასრულა გოლების გატანა, მაგრამ ტოტი აშკარად იშტაზე იყო — ორი წუთის შემდეგ კაპიტანმა ბრაზილიელ ემერსონს გაუჭრა პასი, მან კი ხეირიანი მომენტით ისარგებლა და მეოთხე შეაგდო.

ტაიმთა გასაყარზე „ვიჩენცამ" ერთით შეამცირა სხვაობა — „რომას" მეკარემ, ფრანჩესკო ანტონიოლიმ „ნაპოლის" ყოფილი თავდამსხმელი, სტეფან შვოკი საკუთარ საჯარიმოში წააქცია, რის გამოც პენალტი დაინიშნა. პენალტი თავად შვოკმა გაიტანა. ამას ვიჩენცელთა კიდევ ერთი გოლი მოჰყვა, ოღონდ უკვე 75-ე წუთზე. იმავე შვოხის კარგი თამაშის შედეგად კლაუდიო ვერონეზეს ახლოდან დამიზნების საშუალება მიეცა.

მაგრამ, სტუმრების იმედს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. შეცვლაზე შესული ანტონიო კასანოს დახმარებით ემერსონმა 5:3 გახადა, მოგვიანებით კი დამაშვრალმა კაფუმ მეექვსეც შეაგდო.

ახლა „მილანის" გამარჯვებაზე ვთქვათ: ვერონის „ბენტოგოდიზე" თამაში დაიწყო თუ არა კახა კალაძემ მარკტაელა დაჰკრა და „შავ-წითლები" დააწინაურა.

მეორე გოლი ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა 43-ე წუთზე შეაგდო. რაც სწრაფი და გამართული კონტრშეტევის დაგვირგვინება გახლდათ, ხოლო მილანელთა მესამე ზუსტ დარტყმას, რომელიც დანიელმა იონ დალ ტომასონმა შეასრულა, წინ ათპასიანი კომბინაცია უძღოდა.

64-ე წუთზე ზეედორფმა თავისი მეორე გოლი შეაგდო და მხოლოდ ამის მერე მოდუნდა კარლო ანჩელოტის ლაშქარი, რომელმაც მასპინძლებს, კერძოდ კი ლუიჯი ბეგეტოს ლამაზი გოლის შეგდების საშუალება მისცა.

„მფრინავმა ვირებმა" ანუ „კიევომ" მეორე თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გაიტანა: ივანო დელა მორტეს პასით დანიელე ფრანჩესკინიმ დასცხო სტუმრების კარს, თუმცა სერია A-ს ლიდერებს მეხუთეს გასატანად ჯერ კიდევ რჩებოდათ დრო და შეცვლაზე შესულმა სამუელ დელა ბონამ ეს გააკეთა კიდეც.

ცნობისთვის: „მილანი" ზედიზედ მესამე სეზონია, ნახევარფინალში გადის, მისი მეტოქე „პერუჯასა" და „იუვენტუსს" შორის გამარჯვებული იქნება.

**ბაპუნა ძიძია**



კიევო — მილანი. რუი კოშტამ საგოლე პასები ჩამოარიგა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური

25 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 002 | ჰანზა-მიუნხენი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 003 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-არმინია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 18.30 | 006 | ლაუტერნი-შტუტგარტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |

26 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 009 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |
| 23.15 | 010 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 011 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

24 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | სტ.პაული-აინტრახტი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-ბრაუნშვაიგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 014 | კიოლნი-კარლსრუე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 015 | კიოლნი-კარლსრუე 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |

26 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 016 | მაინცი-უნიონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ლიუბეკი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 018 | როიტლინგენი-ალენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-დუისბურგი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-ტრირი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

27 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 021 | ფრაიბურგი-ალემანია | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

25 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | გრიმსბი-ბრედფორდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 026 | პრესტონი-ნოტინგემი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXIX ტური

25 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 030 | ნორთჰემპტონი-პიტერბორო | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 031 | ბრისტოლი-სტოკპორტი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 032 | ბრისტოლი-სტოკპორტი | 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | |
| 19.00 | 033 | ჩელტენჰემი-ჩესტერფილდი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 034 | კოლჩესტერი-ბლეკპული | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 035 | ჰადერსფილდი-კარდიფი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 19.00 | 036 | ლუტონი-უიკომბი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 19.00 | 037 | ნოტსი-პლიმუთი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 038 | ოლდემი-კრიუ | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 039 | პორტ ვეილი-ბარნსლი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 040 | ქუინს პარკი-ტრანმერი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 041 | სუინდონი-უიგანი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXIX ტური

25 იანვარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 046 | ბოსტონი-როვერსი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 19.00 | 047 | კემბრიჯი-ჰარტლპული | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
აქამდე რივალდოს საპასუხოდ არაფერი უთქვამს, ახლა კი სან პაულუს ერთ-ერთ ჟურნალს განუცხადა: „30 წელი კი შემისრულდა, მაგრამ თუ ბრაზილიის ნაკრებს ჩემი დახმარება დასჭირდება, საამისოდ ყოველთვის მზად ვიქნები. ვიცი, რომ გუნდში ალვილი ახალგაზრდებს უნდა დავუთმო, თუმცა მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ. თუ პარეირა 2006 წლის შესარჩევისთვის ჩემს გამოძახებაზე უარს იტყვის, ამის გამო დავიდარაბას არ ავტეხ, გაგებით შევხვდები. ოღონდ ერთი კია, სანამ „მილანში" ვიქნები და კარგადაც ვითამაშებ, ალბათ ნაკრების მწვრთნელი ჩემს დახმარებას არ იუარებს. ეგებ ისეთ ფორმაში ვიყო, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი მოვხვდე, ამას არ გამოვრიცხავ. იმას კი უარვყოფ, თითქოს თავად არ ვისურვე სანაკრებო კარიერის გაგრძელება".

რივალდომ ისიც თქვა, პარეირა 12 თებერვალს ჩინელებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებას დამპირდაო. ბრაზილიაში ყველაფერი შესაძლებელია და არც ესაა გასაკვირი.

ბოლოს ფეხბურთელმა მილანი ბარსელონას შეადარა. ბარსელონაში 5 წლის განმავლობაში თოვლი ორჯერ ვნახე, მილანში კი უკვე ორჯერ ვივარჯიშე თოვლშიო. კლიმატი შეუდარებია, მე კი ვიფიქრე, გუნდებზე იტყოდა რამეს. აბა, ვან გაალისეული „ბარსელონა" ამჟამინდელ „მილანთან"...

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიდი მამა, ითამაშე!

## შვილების სიტყვით შეგულიანებული ეფენბერგი გაფრთხილებთ: ერიდეთ ჰიცფელდს!



**გერმანელი** ვეტერანი ვარსკვლავი, შტეფან ეფენბერგი, რომელიც დღეს, როგორც მოგეხსენებათ, „ვოლფსბურგში" თამაშობს, აცხადებს, რომ ერთ ან ორ სეზონს კიდევ დაჰყოფს მოედანზე. საამისოდ იგი შვილებს შეუგულიანებიათ.

ეფენბერგი 34 წლისაა. მოგეხსენებათ, მიუნხენის „ბაიერნის" 2001 წლის ტრიუმფი სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული, თუმცა „ბაიერნი" და ბრწყინვალების წლები დღეს წარსულსაა ჩაბარებული, ხოლო ფეხბურთელი „ბილდის" ფურცლებიდან აცხადებს, რომ მისი ამჟამინდელი მიზანი „ვოლფსბურგის" სამომავლო უეფას თასზე გაყვანაა. გარდა ამისა, ეფენბერგი ამბობს, რომ მიმდინარე სეზონში გერმანიის ჩემპიონი „ბაიერნი" გახდება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში „დორტმუნდმა" რომ გაიმარჯვოს, არ უნდა გაგვიკვირდეს.

„კიდევ ერთი ან ორი წლით თამაშის ნება ჩემმა შვილებმა დამრთეს. მათ მითხრეს, მამიკო, ვიცით რომ ეს შენი ცხოვრებაა და ბედნიერებას განიჭებს, ამიტომ განაგრძე, ნუ შეეშვებიო. ამან ძლიერ წამახალისა. ახლა უპირველეს ყოვლისა, „ვოლფსბურგს" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოველაპარაკები. იმედი მაქვს, კლუბის ხელმძღვანელობა უარს არ მეტყვის".

შემდეგ საუბარი „ბაიერნს" შეეხო. ეფენბერგი მიუნხენური კლუბის საქმეებში კარგადაა ჩახედული და ამიტომ დარწმუნებით აცხადებს, რომ იქაური მწვრთნელი, ოტმარ ჰიცფელდი, სეზონის დარჩენილი თვეების განმავლობაში ფეხბურთელების მიმართ გაცილებით მკაცრი გახდება. გარდა ამისა, „ბაიერნის" ყოფილ კაპიტანს სწამს, რომ თანდათანობით იგივე ჰიცფელდი სულ მეტი და მეტი ზეწოლის ობიექტი გახდება, ვინაიდან ქომაგები ჩემპიონობას მოსთხოვენ.

„მგონი, მალე ისევ მკაცრ ჰიცფელდს ვიხილავთ, ისეთს, როგორიც არასდროს ყოფილა. ნებისმიერი, ვინც გზაზე გაეჩხირება, გადაგდების საშიშროების წინაშე დგას. მაგალითად, თუ ეს ან ის ფეხბურთელი მასთან მივა და შესჩივლებს, ცოტას მათამაშეთო, იგი მას არასდროს ათამაშებს. „ბაიერნი" ჩემპიონობას აპირებს და გახდება კიდეც. მე თუ მკითხავთ, საკითხავი ის არის, რამდენი ქულით გაუსწრებს მეორე ადგილზე გასულს".

**პაატა ძიძია**



# მე ვხედავ მზეს

## კაფუს გზა რომიდან იაპონიაში მიდის

**იაპონური** J ლიგის კლუბმა იოკოჰამა „მარინოსმა" გამოაცხადა, რომ „რომას" ბრაზილიელ მცველ კაფუსთან მიაღწია შეთანხმებას და ეს უკანასკნელი სერია A-ს სეზონის დასრულების შემდეგ, 1 ივლისიდან აიღებს გეზს ამომავალი მზის ქვეყნისკენ.

სხვათა შორის, იოკოჰამა სწორედ ის ბედნიერი ქალაქია, სადაც შარშან 32 წლის კაფუ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, აქვე ისიც ვთქვათ, რომ ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის სამ ფინალში უთამაშია. კაფუმ 80-იანი წლების ბოლოს „სან პაულუში" დაიწყო კარიერა. 1990 წელს კი, პირველად გამოჩნდა ბრაზილიის ნაკრებში ესპანელების წინააღმდეგ. „რომაში" ბრაზილიელი 1997 წლიდან თამაშობს და ერთხელ იტალიის ჩემპიონის ტიტულიც აქვს მოპოვებული.

მომავალ ზაფხულს სამხრეთამერიკელს რომაულ კლუბთან კონტრაქტი ეწურება და ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობდნენ „რომადან" მის წასვლაზე. ჰოდა, საბოლოოდ, ბრაზილიელმა იაპონიაზე ამჯობინა.

**ნიკა შუბლაძე**



შტეფან ეფენბერგი „ვოლფსბურგთან" კონტრაქტის გაგრძელებას ეშურება

# დადო და წააგო

## 100 გირვანქა ოუენის ჰეთ თრიკზე

**„ლივერპულისა"** და „შეფილდ იუნაიტედის" სათასო მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მანჩესტერის ერთ-ერთ საბუქმეიკერო კანტორაში პოლ სქოულზი მივიდა და ფსონი დადო — მაიკლ ოუენი ჰეთ თრიქს შეასრულებსო. „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს დიდად არ გაურისკავს. მხოლოდ 100 გირვანქა გაიღო ამ საქმისთვის, რაც სხვათა წაგებულ მილიონებთან შედარებით, ხარჯზე ცხადია, ჩირადაც არა ღირს.

ბუქმეიკერთა ფსონი იმ მატჩში ოუენის სამ გატანილ გოლზე 14-1-თან ფასდებოდა. ანუ ლივერპულელის ჰეთ თრიქი რომ შეესრულებინა, სქოულზი 1400 გირვანქას მოიგებდა. მაგრამ ლივერპულელმა „შეფილდთან" მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა და სქოულზმაც წააგო. ბუქმეიკერი ყვება: „სქოულზი ვარჯიშის შემდეგ ალბათ შინ ბრუნდებოდა, გზად კი ჩვენს კანტორაში შემოიარა. მკითხა ოუენის ჰეთ თრიქზე რამდენია ფსონიო. მე ვუპასუხე როგორც იყო. მერე ჯიბიდან 100 გირვანქა ამოიღო და ქვითარი შეავსო".

კიდევ ერთი ბუქმეიკერი განმარტავს: „სამი გოლის გატანაზე 100 გირვანქას იშვიათად თუ დადებს ვინმე, ცხადია, წაგების დიდი ალბათობაა. თუმცა იმ მომენტში, სქოულზს ამაზე არც უფიქრია".

საერთოდ ასე ყოფილა: როცა „ლივერპული" თამაშობს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ფანები მის წაგებაზე უფრო იმეტებენ ფულს — ბუქმეიკერმა ამასთან ერთად ისიც განმარტა, სქოულზს უკანონო არაფერი ჩაუდენია, რაც მთავარია, მას თავის გუნდზე არ შეუტანია ფსონი.

გაგახსენებთ იმასაც, რომ ამას წინათ, მაიკლ ოუენმა აღიარა, ბოლო წლებში 2 მილიონ გირვანქაზე მეტი წააგო, ლივერპულელი უფრო მეტად საცხენოსნო სპორტზე დებდა დიდ თანხებს.

ხოლო სქოულზს, რომელსაც 60 ათასი გირვანქა ჯამაგირი აქვს კვირაში, 100 გირვანქის დაკარგვა არ გააღარიბებდა.

**ირაკლი მეძუა**



„შეფილდთან" სათასო მატჩში მაიკლ ოუენმა ერთი გოლი გაიტანა

### სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი (20-წლამდელები)

**პლეი ოფი. III ტური**

**ურუგვაი 2:1 ეკვადორი**

*კოლუმბია — პარაგვაი და ბრაზილია — არგენტინა ნუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კოლუმბია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 3 |
| ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |

### ამხანაგური მატჩი

**სელტიკი 2:3 ფეიენოორდი**

0:1 ვან ჰოოიდონკი (13), 0:2 კალუ (16), 1:2 ჰართსონი (21), 1:3 ონო (38), 2:3 სილვა (53)

**სელტიკი:** მარშალი, აგატი, მიალბი, ბალდე, კრეინი, მელოუნი, ჰელი, ლამბერტი, პეტა (გაპი 46), ჰართსონი (სატონი 46), ლარსონი (ფერნანდესი 46)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**ფეიენოორდი:** ლოდევაიქსი, ემერტონი, ვან ვონდერენი, დე ნოიერი, პაუვე, კალუ, ბკუნია, ონო, პარდო, ბუფელი (ვან პერსი 46), ვან ჰოოიდონკი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის სახლი

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები Zeus ზევსი

- კია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- შალითები კიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL

900 GEL-დან

Master მასტერი

დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, ფასდაკლება

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)

11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ავსტრალიის ღია პირველობა 2003

# წარმოუდგენელი

## იომე-მეთქი! უთხრა სერენამ თავს და წაგებული მოიგო

**ნახევარფინალი**

**კაცები**

**ანდრე აგასი (2, აშშ) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:2, 6:3**

**ქალები**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) 4:6, 6:3, 7:5; ვინუს უილიამსი (2, აშშ) — ჟუსტინ ენენ-არდენი (5, ბელგია) 6:3, 6:3**

### შავდები

ესეც ასე:

რაც შავდა უილიამსებს ჩვენთვის აქამდე არ უნახვებიათ, შაბათს — თუკი ყველაფერი კარგად იქნა — იმის ზორბად ნახვასაც მოვესწრებით.

ერთმანეთთან უკვე ოთხ სლემფინალში ნაპაექრებ ვინუსსა და სერენას საჩოგბურთის სლემსარბიელთაგან მეტოქურად გაუვალი მხოლოდ მელბურნ პარკის როდ ლეივერის სახელისად წოდებული სეფეკორტი დაურჩათ.

ჰოდა, ხვალ — ტფილისის დროით საღღაც იმ დროს, ჩოგბურთის ტრფიალთ შუქი რომ ეთიშებათ — მამა რიჩისა და დედა ორასინის ჯიშიანი გოგონები ერთმანეთს დიდი სლემის ზედიზედ მეოთხე ტურნირის ფინალში დაერევიან.

წინა სამში — ვინძლო თქვენც გახსოვდეთ — სერენამ იმარჯვა წლითა და სამი თვით უფროს დაიკოს მან შარშან როლანგაროსულ, უიმბლდონურ და ფლეშინგმედოუზურ ფინალებში აჯობა. მათი სულ პირველი სლემფინალი კი 2001 წელს აშშ-ის ღია პირველობაზე შედგა — მაშინ ტიტული ვინუსმა ირგუნა.

საერთოდ — შავდები ოთხ-ოთხგზის მესლემტიტულეები არიან. ვინუსს 2000-2001 წლებში ორჯერ უიმბლდონსა და ორჯერვაც აშშ-ის ღია პირველობაზე გაულაღია, სერენამ კი — სანამ შარშან მიჯრით სამ ტიტულს მიითვლიდა, თავისი და მთლიანად ოჯახის პირველი დიდი ჯილდოც 1999 წელს იმავ ფლეშინგ მედოუზზე მოიმკა.

თუ რომელი მათგანი შეძლებს მეხუთედ გასლემჩემპიონებას და მოახერხებს თუ არა სერენა, მორინ კონოლის, მარგარეტ კორტის, მარტინა ნავრატილოვასა და შტეფი გრაფის შემდეგ გახდეს მეხუთე ქალი, ვისაც ზედიზედ — სულ ერთია, ერთ სეზონში თუ სეზონთგადაბმით — ოთხივე უბობოლეს ტურნირზე გაჰ მარჯვებია, ყოველივე ამაზე თავად შავდათა მოსაზრებებს ოდნავ ქვემოთ გაეცნობით. მანამდე კი აჯობებს, ცოტა გუშინდელ მატჩებზე წავისაუბროთ.

ორი ტრანსატლანტიკური შეხლიდან უმეტეს ინტერესს მაინც სერენასა და ამჟამად საუცხოო ფორმაში მყოფ ტურნირის განმავლობაში სეტისწაუგებლად მოჩოგნავე კიმ კლაისტერსის დაპირისპირება იწვევდა. ეგ მით უფრო, რომ კიმს საკუთარი სიჩაუქის გარდა ოზური ლიანგის მძლავრი მხარდაჭერის იმედიც ჰ ქონდა — როგორც ადგილობრივთა ჯილაბიჭის, ლეიტონ ჰიუიტის ნანდაურს!

ოღონდ როგორც მატჩისას გაირკვა, ეს ყველაფერი — თავად კიმის ჩაუქი გარჯა, ლიანგის ქომაგობა, ტრიბუნაზე მიჯნურის ჯდომა თუ სულაც სერენას დაწყლულებული ტერფები (რის გამოც ერთი-ორჯერ კორტზე ექიმიც გამოჩნდა) — მსოფლიოს ამჟამინდელი მეპირველის დასათრგუნად საკმარისი მაინც არ ყოფილა.

სერენა მაშინაც არ გატეხილა, როცა გადამწყვეტ სეტში 1:5 აგებდა და ორი მატჩბურთის პირისპირ იდგა...

„ჰალალად გეუბნებით, თვითონაც არ ვიცი, როგორ შევძელი იმ სიტუაციიდან თავის დაძვრენა — ამბობდა ის მერე — ერთადერთი, ჩემს თავს ვუთხარი, ბოლომდე იომე-მეთქი... ღმერთია მოწმე, იმ მომენტში მოგების იმედი ნაღდად არ მქონდა".

არადა, ყველაფერი სწორედ იმ მომენტში გადაწყდა — ბეწვის ხიდს გაცდენილმა სერენამ გული მოიცა, აშლილი ძარღვი დაიმშვიდა და მომდევნო ექვსი გეიმი ისე ხარბად, ისე ბობოქრად ჩააგლაჯუნა, რომ წახდენილ, ჩოგანაკანკალებული მეტოქისთვის ფიორა შანსიც აღარ მიუცია.

ეს იყო არაჩვეულებრივი, ზღაპრული გამარჯვება, რომელშიც კიდევ ერთხელ, მთელი სიცხოვლით გამოჩნდა სერენას დედალავაზური, დასტურ ჩაუკლავი სულისკვეთება.

სერენა: „ეს მართალია — მე არასოდეს ვნებდები, გინდაც 0:5 ვაგებდე და მეტოქეს სამი მატჩბურთი ჰქონდეს. მე მებრძოლი ვარ და არასოდეს ვფიქრობ დამარცხებაზე. ჩემი დაც ასეა, გაუტეხლობა უილიამსების საერთო თვისებაა... თავადვე ნახეთ — მე არც ამ მატჩში დავნებებულვარ და ბრძოლა ბოლომდე გავგრძელდა. მერე კი... ბრახუნიდან მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა უკანასკნელი გათამაშება მოვიგე. ვთვლი, რომ ცოტა გამიმართლა კიდეც — კიმმა ხომ ასე საუცხოოდ ითამაშა".

ისე კი — მეტოქის 33 უებლიე შეცდომის წილ სერენამ 65 შეცდომა დაუშვა, თუმცა სანაცვლოდ მასზე 28-ით მეტი საქულე დარტყმა მოინაგრა.

რაც შეეხება ვინუსს, თუკი სერენასა და კლაისტერსის შეხვედრამ ორ საათსა და 13 წუთს გასტანა, ციდა ჟუსტინ ენენ-არდენს მან საქმე გაცილებით მალე, 74 წუთში მოუგვარა.

იმ მატჩის ფონზე ამას ბრძოლა ნაღდად არ ეთქმოდა — მათი წინა ექვსი შეხვედრის დარად ვინუსის უპირატესობა განსაკუთრებულ გასაჩივრებას არც ამჯერად დაქვემდებარებია. ბელგიელმა მეორე სეტის შუაწელამდე კი იბეჯითა, მაგრამ მერე და მერე მოიშალა და მარცხსაც შეეგუა. როგორც ნამატჩევს აღიარა, ვინუსის ზეაგრესიული მიძალებისთვის სათანადო წინააღმდეგობის გასაწევად მას აღარც ილაჯი შერჩენოდა და თანაც მოღლილმა მხარმაც შეაწუხა.

„ახლა შინ, მეუღლესთან დაბრუნებასა და კარგად დასვენებაზე ვფიქრობ" — თქვა მან.

ვინუსი კი, აი, ასე ლაპარაკობდა: „ძალიან ბედნიერი ვარ, ამდენწლიანი წვალების შემდეგ მელბურნულ ფინალში მოხვედრა რომ შევძელი... გპირდებით, რომ სერენასა და ჩემი მატჩი ამჯერადაც პატიოსან ჩოგნაობაში ჩაივლის. როცა კორტზე ვარ, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვი, მნიშვნელობა არა აქვს, ვის და რა ეტაპზე ვთამაშობ. ვერც ის და ვერც მე დამარცხებას ვერ ვიტანთ, ამიტომაც ჩვენი მორიგი სლემფინალი ისევ უშეღავათო და ჰალალი ბრძოლა იქნება. ტიტულის მოპოვება მასაც სურს და მეც — მოტივაციის ნაკლებობას არც ერთი ვუჩივით. რასაკვირველია, თუკი ის კოჭს გადაიბრუნებს, მეც შევშფოთდები, მაგრამ მომდევნო მოწოდებას ისეთივე ძალით დავაბრახუნებ, როგორც ამას ვინმე სხვის წინააღმდეგ ვიზამდი. შანსებზე კი ვერაფერს გეტყვით, ერთი ის ვიცი, რომ ახლა რიგიანად ვთამაშობ, არც იმდენ შეცდომას ვუშვებ, თუმცა შეცდომები მაინც მომდის, რაკიღა აგრესიული სტილი მაქვს. იგებენ სწორედ აგრესიულები, ისინი, ვინაც კორტზე თავად კარნახობენ თამაშის წესებს. უნდა ვეცადო, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დავუშვა და რაც შეიძლება ზუსტად მოვაწოდო".

და რას ფიქრობს მათი მომავალი შეხლის შესახებ სერენა? „ამ ტურნირზე ვინუსი მართლაც ჩემზე უკეთ თამაშობს, ასე რომ... ფინალში რაღაც იმაზე მეტის გაკეთებას უნდა ვეცადო, რაც საამკვიროოდ შემიძლია. ცხადია, ამ ტიტულის მოპოვებაზე ორივე ვოცნებობთ. ამიტომ ორივე მიძალებით, გულიანად ვითამაშებთ და ბოლომდე დავიხარჯებით. არ ვიცი, ალბათ ვინუსიც ამასვე იტყვის, მაგრამ ჩემი მიზანია, გავიდე კორტზე და რაღაც უნდა დამიჯდეს, მოვიგო".

### კიმი

ნამატჩევს კიმი ამაოდ ცდილობდა, მარცხით გამოწვეული იმედგაცრუება და ტკივილი თავისი თბილი, ბრდღვიალა ღიმილით შეენიღბა...

„ასე ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან. ცხადია, ახლა ძალზედ იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ უნდა ვეცადო და გრძნობებს მოვერიო... ამ წაგებისთვის ჩემს თავს ვერ დავადანაშაულებ. ჩოგანი ბოლომდე არ დამიხრია, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ გამოდგა... არა, მე არ ვნერვიულობდი, ჩემი აზრით, გარდატეხა იმან განაპირობა, რომ მან მეტი ბურთის ჩაგდება დაიწყო. ხოლო როცა ის თავის საუკეთესო ჩოგბურთს აჩვენებს, მისი მორევა ძალიან ძნელია. მან რამდენჯერმე საუცხოო ბურთი დააბრუნა და საერთოდაც... აი, ამიტომ არის ის პირველი ნომერი. მაშინაც კი, როცა გამარჯვებამდე ერთი ქულადა მაკლდა, ის მაინც ისე გაუტეხელი იყო — გახსოვთ, რა დიდებული დარტყმით გამითანაბრა... მერე კი მან შეცდომებს უკლო და ისე აგრესიულად ათამაშდა, რომ ველარაფერი მოვუხერხე".

„თქვენ გაინტერესებთ, შტეფი გრაფისა და ანდრე აგასის მსგავსად ლეიტონი და მე თუ გამოვალთ შერეულ წყვილებში? როცა ჩვენი საერთეულო კარიერები თავდაღმართში წავა, შეიძლება ვითამაშოთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მე ძალიან მიყვარს წყვილებად ჩოგნაობა".

სხვაფრივ — სერენასა და კლაისტერსის შეხლამ საქმეში ჩახედული ხალხი დამტვერილ დავთრებშიც ჩაახედა. ბევრმა გაიხსენა, რომ ასეთი დრამატული მატჩები უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სხვაც ყოფილა.

ასე, მაგალითად — 1993 წელს იანა ნოვოტნამ შტეფი გრაფთან ფინალური მატჩი დათმო მას შემდეგ, რაც მესამე სეტში 5:1 უგებდა და გამარჯვებამდე ქულადა აკლდა. მარტინა ჰინგისი კი ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინანდელ ფინალში ჯენი კაპრიატისთან პირველი მოგებული სეტის შემდეგ მეორეში 4:0-ით უპირატესობდა, მაგრამ ოთხი მატჩბურთი გაანიავა და მერე მესამეშიც დამარცხდა.

### ისევ შავდები

ბელგიელთა ძლევის შემდეგ შავდებმა წყვილთა ნახევარფინალშიც გაიპარპაშეს თვისტომთა — ლინდსი დევენპორტისა და ლიზა რეიმონდის ჯუფთი მათ მხოლოდ ოთხ გეიმში გაედავა და დებმაც 6:2, 6:2 იმარჯვეს. ფინალში ისინი ესპანელი ვირხინია რუანო პასკუალისა და არგენტინელი პაოლა სუარესის წყვილს შეერკინებიან. ამათ, თავის მხრივ, შვეიცარიელი ემანუელე გალიარდისა და უნგრელი პეტრა მანდულას ტანდემს 6:0, 6:2 მოუგეს.

შეგახსენებთ, რომ შავდებს ოთხივე საწყვილო სლემტიტული მოხვეჭილი აქვთ და უკვე 16 თვეა, წყვილად არავისგან დამარცხებულან.

ამ ტურნირზე მათ — სხვათა შორის — 46 წლის ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვასა და 17 წლის რუსგოგოს, სვეტლანა კუზნეცოვას წყვილსაც სძლიეს (6:2, 6:3).

### აგასის მეთოთხმეტე

ანდრე აგასისა და მასზე ერთი წლით უმცროსი სამხრეთაფრიკელის უეინ ფერეირას მატჩი მრავალმხრივ გამორჩეული რამ იყო. და პირველ რიგში არა იმით, რომ მეტოქენი ერთმანეთს მეთერთმეტედ შეხვდნენ და სამგზის მეავსტრალიე ამერიკელმა აფრიკელს მეთერთმეტედვე აჯობა.

არა — უფრო მთავარი აქ ის იყო, რომ ჩოგბურთის გაპროფესიულების ანუ 1968 წლის შემდეგ ოცდაათ წელს გადაცილებულ ორი კაცს მელბურნულ ნახევარფინალში ერთხელაც არ ეთამაშა.

სათქმელია ისიც, რომ აგასიცა და ფერეირაც თავ-თავიანთ საიუბილეო, 50-ე სლემტურნირში მონაწილეობენ.

თუკი მათი გუშინდელი 87-წუთიანი თამაში გინახავთ, დაგვერწმუნებით, რომ ეს ინფორმაცია ამ მატჩის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს შეეხება, რაკიღა საკუთრივ საჩოგბურთო თვალსაზრისით იმ დღეს კორტზე ღირსსახსოვარი არაფერი მომხდარა. თავისი მეოთხე ავსტრალიური ტიტულისკენ ანდრემ მორიგი დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა — მატჩის წინ მობაქიბუქე ფერეირამ კი მასთან ამჯერადაც ისევე ჩაიფლავა, როგორც ყველა წინა ათივე შეხვედრაში.

აგასი: „ამ გამარჯვებების სიიოლე მხოლოდ მოჩვენებითია. რეალურად კი ბევრი მუშაობა მიწევს. ვცდილობ, ძალიან „სუფთად" ვურტყა და ქულები ვაკონტროლო... ფინალამდე ორი დღე მაქვს და კაცურად დავისვენებ, ოჯახთან ერთად მოვდუნდები და მოვემზადები... ჩემი მოტივაცია განვითარებაა, სწორედ ამის აუცილებლობა მქოქავს და მიუხტავს. ეჭვი არაა, რომ ახლა უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე ოდესმე — კორტზე უკეთ ვმოძრაობ, მეტი გამოცდილება მაქვს... როცა სლემტურნირის მეოთხედფინალში გადიხარ, მორიგ ტიტულზე ფიქრს უკვე იქიდან იწყებ. ცხადია, სიამოვნებით შევავსებდი ჩემს სლემკალათს მორიგი ტიტულით. მით უფრო, რომ ის იმედგაცრუება, რაც პიტთან შარშან, აშშ-ის ღია პირველობის ფინალში მარცხმა მომიტანა, ჯერაც არ გამნელებია — მე ხომ ამ ბოლო დროს ასე რიგიანად ვთამაშობ".

32 წლის ჯადო ანდრანიკე დიდი სლემის რაგინდარა ტურნირის ფინალში უკვე მეთოთხმეტედ გავიდა. წინა ცამეტიდან მან შვიდში იმარჯვა — სამჯერ იქვე, ორჯერ ფლეშინგ მედოუზზე, თითო-თითოჯერ კი უიმბლდონსა და როლან გაროსზე. თუკი ის კვირასაც იზეიმებს, პირველი არაავსტრალიელი გახდება, ვისაც ოთხი ქვეყნის სეზონტიტული ოთხჯერ რგებია.

„მის წინააღმდეგ დღეს მე შანსი არა მქონია და თუკი ის კვლავაც ასე ითამაშებს, ეს შანსი არც არავის მიეცემა" — ეს სიტყვები უეინ ფერეირას ეკუთვნის. მისი ასაკისა და გამოცდილების მქონეს ალბათ დაეჯერება.

რა, არა?!

**ლევან ძელაურაძე**



„წარმოუდგენელი" ასე შეაფასეს სერენა უილიამსის თამაში მისმა ქომაგებმა



ანდრე აგასი ფინალში კამაც-კამაც გავიდა



უეინ ფერეირა


ჟუსტინ ენენ-არდენი

მაშ, ასე — ხელები მოვიფშვნიტოთ და მომავალ დრაფტზე მესამე ქართველის საქომაგოდ გავემზადოთ, რადგან თუ წლეულს სლოვენიიდან იქ ვინმე მოხვდება, და ეს თითქმის ყოველ დრაფტზე ხდება, უეჭველად ვლადიმერ ბოისა იქნება. ბოისა კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს „ოლიმპიაში“ და თუ საუკეთესო არა, სლოვენიური ლიგის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. სლოვენიის ყოჩათათვის კი დრაფტის კარი მუდამ ღიაა — ამას წარსული მოწმობს და ალბათ ახლაც ასე იქნება. ეს ყველაფერი, ცხადია, არაფერს ნიშნავს, თუ თავად კალათბურთელმა არ ისურვა ოკეანგაღმა წასვლა. ვოვამ კი თავისი ეს განზრახვა გუშინ „სარბიელს“ ამცნო. ამავე აზრისაა ბოისას მარიფათიანი მენეჯერი, ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილის ნბა-ურ საქმეთა გამჩარხავი მარკ ფლეიშერიც, რომელიც ვოვას სადრაფტო წარმატებაში დარწმუნებულია, თუმც ყოველი შემთხვევისთვის მისთვის ბოლოლა ევროპული კლუბებიც შეუგულებია. რაღა გავაგრძელოთ, ყველაფერს თავად ბოისა მოგვითხრობს, ვისთანაც საუბარიც იმ მცირე ტრავმით დავიწყეთ, რომელიც ჩვენებურს „ქალგირისთან“ საევროლიგო მატჩისას მიუღია



# სლოვენია ბოისას NBA-ში უშვებს

# დიდი შანსია

## ამ ზაფხულს სტეფანიას და ცქიტიშვილს მესამე ჩვენებურიც შეუერთდეს

**— ევროლიგის ბოლო ტურში „ჟალგირისთან“ მცირე ხნით ითამაშე. ვივარაუდეთ, რომ „ოლიმპიას“ მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი სუსტ მეტოქესთან წამყვანი კალათბურთელების დატვირთვას მოერიდა...**

— ეგრე იყო, ლიდერებს იმ მატჩში დიდხანს არ გვითამაშია, თუმც მე ტრავმის გამოც დავისვენე. მეცხრე წუთზე ერთ ხათამაშო ეპიზოდში გვერდში ჩამარტყეს და შეხვედრა ვეღარ გავაგრძელე. დასაწყისში ლიტველ მინდაუგას ტიმინსკასს ფარზე ბრძოლისას შემთხვევით ხელი სახეში მოვარტყი. მას ცხვირიდან სისხლი წასკდა. როცა მე დავშავდი, ზედახორაში ტიმინსკასი ჩემს უკან იდგა და შესაძლოა, ჩურდა დამიბრუნა. სერიოზული არაფერია, ვარჯიშს ორ დღეში შევუდგები.

**— ამას წინათ სლოვენიის „ოლ სტარში“ ითამაშე...**

— ის მატჩი შოუ იყო, მოგებაზე არავინ ფიქრობდა. ვცდილობდით, ლამაზი თამაშით მაყურებელი გვესიამოვნებინა. ბევრი ბურთი ჩაიტენა და უამრავი ეფექტური კომბინაცია გათამაშდა. მეც საკმაოდ აქტიური ვიყავი და 23 ქულით მატჩის ბომბარდირი გავხდი. რომ მოგვეგო, „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშედ დამასახელებდნენ... ეს ტიტული მეტოქე გუნდის კრკაელ ჯამი არნოლდს ერგო, მე კი საუკეთესო მსროლელად მაღიარეს.

**— მეხუთე წელია, სლოვენიაში თამაშობ და ახლა, საუკეთესო სეზონს ატარებ. არადა, არცთუ დიდი ხნის წინ სულაც განათხოვრებული ჰყავდი „ოლიმპიას“, ამჟამად კი გუნდის ლიდერი ხარ. როგორ მოახერხე ამხელა წარმატების ასე მოკლე დროში მიღწევა?**

— უპირველესად, მოთმინებით. „ოლიმპიადან“ წასვლა მარშანაც შემეძლო, როცა ფინანსური გაჭირვების გამო გუნდი ხელფასს ვერ მიხდიდა. უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ იტალიური და გერმანული კლუბები, მაგრამ სლოვენიაში დარჩენა გადავწყვიტე და არც ვნანობ. მაშინ არც ხელფასი მქონდა და „ოლიმპიასთვისაც“ მეორეხარისხოვანი მოთამაშე ვიყავი, თუმც ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. მოთმინება და ბევრი ვარჯიში, აი, მაგ კითხვის მოკლე პასუხი.

**— შენი წარმატებები, ცხადია, შეუმჩნეველი არც სხვა კლუბებს დარჩებოდათ. ის კი არა, როგორც წარსული მოწმობს, „ოლიმპიას“ ლიდერები ნბა-ში მიდიან. ერთი სიტყვით, შენს მომავალზე გვკითხები, სეზონის ბოლოს ხომ „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი გიმთავრდება...**

— ეს სეზონი მართლაც გამორჩეულია ჩემს კარიერაში. მაღალ დონეზე ვთამაშობ და დაინტერესებაც საკმარისადაა. ჩემს მენეჯერ მარკ ფლეიშერს, როგორც ვიცი, უამრავი ძლიერი ევროპული გუნდი უკავშირდება ჩემს თაობაზე, მაგრამ მას ვუთხარი, რომ არც ერთის სახელი არ მიხსენოს, არ მინდა აქედანვე სხვა კლუბებზე ფიქრი. მსურს, სეზონი ისევე კარგად ჩავამთავრო, როგორც დავიწყე. „ოლიმპიასთან“ კონტრაქტი რომ დამიმთავრდება, მერე დავსხდებით მე და ფლეიშერი და საუკეთესო ვარიანტს ამოვარჩევთ. ასე რომ, ჯერ არ ვიცი, სად გადავალ, ის კი თითქმის გადაწყვეტილია, რომ წლევანდელ ნბა-ს დრაფტში მივიღებ მონაწილეობას.

**— მაგას რომ ამბობ, რისი იმედი გაქვს, ნუთუ ასე იოლია დრაფტში მოხვედრა?**

— „ოლიმპიას“ ლიდერები თითქმის ყოველწლიურად დრაფტზე მიდიანო, შენც თქვი. მაგასვე ამბობს აქ ყველა, უბრალო გულშემატკივრით დაწყებული, ავტორიტეტული მწვრთნელებითა თუ სპეციალისტებით დამთავრებული. ეს ამბავი სლოვენიაში უკვე ტრადიციადაა ქცეული. ამას რომ ამბობენ, ჩემზე უთითებენ, რადგან დრაფტში მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარი 22 წელია, ხოლო ასეთებიდან სლოვენიაში ყველას მე მივაჩნივარ საუკეთესოდ.

**— სადრაფტო ამბებზე ვინმესთან ხომ არ გისაუბრია, ან შენს მენეჯერს ხომ არ შეხმიანებიან?**

— მე არავინ დამლაპარაკებია, მაგრამ ვიცი, რომ ფლეიშერს უამრავი ამერიკელი სკაუტი ელაპარაკება ჩემზე. მისი საქმეც ხომ ესაა. ყოველ თამაშზე ტრიბუნაზე არაერთი ნბა-ს მზვერავი ზის და ჩემს თითოეულ მოძრაობას აფიქსირებს. ვფიქრობ, მათთვის იმედები ჯერ არ გამიცრუებია.

**— ნბა-ში გადასვლა კი კარგია, მაგრამ იქ როგორ ითამაშებ, ამაზე თუ გიფიქრია?**

— მიფიქრია კი არა, ხანდახან მესიზმრება კიდეც. ვიცი, რომ ევროპაში კარგი თამაში ბევრს არაფერს ნიშნავს ნბა-სთვის, იქ ყველაფერი სხვაგვარადაა. ისე კი, თავს ევროპული ყაიდის კალათბურთელად მივიჩნევ, გუნდური თამაში მიყვარს და არ ვცდილობ თავის ზედმეტად გამოჩენას. 21 წლის ვარ და ეს დრაფტში სამონაწილეოდ ბოლო შანსია. ძალიან მაინტერესებს, რა ხდება იქ, თუ შევძლებ ამერიკაში თამაშს. დრაფტში მონაწილეობას ალბათ მივიღებ და თუ პირველ წრეში ამირჩევენ, მადლობელი დავრჩები. შემიძლია, ერთი წელი ვიცადო, ორიც, თუ თამაში ვერ ამეწყო, ევროპაში დასაბრუნებელი პირი მაქვს, ნებისმიერ ძლიერ კლუბში მოვნახავ ადგილს. დრაფტში მონაწილეობით არაფერს ვკარგავ.

**— არც მთლად ასე დარამატულადაა საქმე, ნბა-ში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ევროპელებისადმი...**

— ამერიკელები უფრო სიმაღლეს და ასაკს აქცევენ ყურადღებას, ცდილობენ, კალათბურთელი თავიანთ ყაიდაზე აღზარდონ. მე პატარა აღარა ვარ, თან არც სიმაღლით გამოვირჩევი, თუმც ახლა ისე გაიზარდა ევროპელებზე მოთხოვნილება, რომ მგონი, მალე აღარც ამას მიაქცევენ დიდ ყურადღებას. მეგობარ ანტონი რიგოდო ავიღოთ, 31 წლის უკანახაზელი, რომელიც დრაფტგაუვლელად „კინდერიდან“ „დალასში“ გადავიდა. რიგოდოსთან რამდენჯერმე მითამაშია და თუ არ მიჯობნია, თავიც არ შემირცხვენია. უიმედოდ არც მე ვარ.

**— ევროპას დავუბრუნდეთ. შენი საუკეთესო საევროლიგო მატჩი...**

— თუ სტატისტიკას ჩავხედავთ, „ბუდუჩნოსტთან“ ნათამაშები ორივე მატჩი. ისე კი, ყველა შეხვედრა კარგად მახსენდება „უნიკახასთან“ ლიუბლიანაში ჩატარებული მატჩის გარდა, რომელშიც მხოლოდ 5 ქულა ჩავაგდე.

**— ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელად ვის მიიჩნევ?**

— ბოდიროგას, რომელიც არ მომწონს, მაგრამ ვაღიარებ. ის ძალიან ზანტია, მაგრამ ისე ჭკვიანურად თამაშობს, რომ ნებისმიერ მომენტში შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ტაუელი ანდრეას ნოჩიონიც არაა ნაკლები. მას ამ სეზონში ორჯერ შევხვდი და ორჯერვე გამაოგნა. ისეთი გრძელი ხელები აქვს, ზურგსუკნიდან მიხსნიდა ბურთებს.

**— ბევრი ამბობდა, „ოლიმპია“ ევროლიგის მომდევნო ეტაპზე ვერ გავაო, თქვენ კი ეს უკვე მოახერხეთ. შემდგომშიც გააოცებთ ქომაგს?**

— ვისაც ლიუბლიანაში „ოლიმპიას“ მატჩი უნახავს, გაოცებულა კი არა, გაგიჟებულა. სლოვენიაში სასწაულები ხდება, ჩვენს თამაშს ამდენი მაყურებელი არასდროს დასწრებია. ხალხი კიბეებზე ზის და ლამის მოედანზეც შემოვიდნენ. მგონია, რომ „ოლიმპიას“ ლიუბლიანაში დამარცხებას წლეულს ვერავინ მოახერხებს.

**— და ასეთ მატჩებში თავის გამოჩენა, ცხადია, ძალიან პოპულარულს გაგხდიდა...**

— ყველგან, მაღაზიაში, კაფეში, საავადმყოფოშიც კი, უამრავ გულშემატკივარს ვხვდები. დამინახავენ თუ არა, ბოისა, ბოისაო, გაიძახიან. ორიოდ დღის წინ სლოვენიის ცენტრალურმა ტელევიზიამ მიმიწვია, პირდაპირ ეთერში ვპასუხობდი გულშემატკივართა კითხვებს.

**— ასე კარგად ისწავლე სლოვენიური?**

— გამართულად ვლაპარაკობ, ალბათ ამიტომაც ვუყვარვარ ქომაგს ასე გამორჩეულად. საერთოდ, აქ ძალიან გულთბილი ხალხია და სლოვენიაც მშვენიერი ქვეყანაა. გადავწყვიტე, აქ ვიცხოვრო, თუმც საქართველო მუდამ იქნება ჩემი სამშობლო და ხშირადაც ჩამოვალ.

**— ორი დღის წინ დაგირეკე და სლოვენიელმა ქალბატონმა მიპასუხა. ვიცი, საცოლე გყავდა, ხომ არ გიქორწინიათ?**

— არა, აქ 21 წლისანი იშვიათად ქორწინდებიან. ერთმანეთი გვიყვარს და ერთადაც ვცხოვრობთ, ადრე თუ გვიან, ვიქორწინებთ კიდეც.

**ირაკლი ბერტაია**



# ევროპის ერთა თასი

# საქართველო პორტუგალიისთვის ემზადება, აქსენტი გიორგაძე ვარსკვლავებში გასარევად

**სადაცაა** თებერვალი მოატანს და ევროპაში რაგბის სეზონიც გახურდება. ეკვატორს ზემოთ ყველაზე შეჯიბრი ექვსი ერი და მისი უმცროსი „ძმა“ ევროპის ერთა თასი ერთდროულად, 15 თებერვალს დაიწყება.

საქართველოსათვის განთქმული ბორჯღალოსნები წლევანდელ ერთა თასზე პირველ მატჩს ლისაბონში პორტუგალიასთან გამართავენ. საამხატჩოდ ბორჯღალოსნები 9 თებერვალს საფრანგეთში შეიკრიბებიან. შეკრების ადგილი დაბა ლატია, რომელიც მონპელიესა და გრანდ მოტეს შუა მდებარეობს. ლატიში მშვენიერი სპორტული ბაზა და პირობებია ნორმალური ვარჯიშისთვის.

როგორც საფრანგეთში მცხოვრებმა საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა გვამცნო, ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი 30-კაციან შეკრებას გეგმავს. სორელს უკვე შეურჩევია 23 ლეგიონერი. გამორიცხული არაა, მათმა ოდენობამ იმატოს, სამაგიეროდ, ჩვენების ფრანგ მწვრთნელს ჯერ არ დაუსახელებია ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც საქართველოში თამაშობენ.

შერჩეული ლეგიონერები ესენი არიან: **ლევან ცაბაძე, დავით აშვეთია (ორივე „მონფერანი“), გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე, მევლუდ მთიულიშვილი, კახო ნადირაძე („ბეზიე“), ლევან ჯაველიძე („ნანტი“), ზვიად მათიაშვილი („კანი“), ვიქტორ დიდებულიძე („ფიზაკი“), აქსენტი გიორგაძე, ილია ზედგინიძე („როვიგო“), ზურაბ მჭედლიშვილი („დომონი“), გია ლაბაძე („ტულონი“), გრეგუარ იაშვილი („მეტრო-რასინგი“), გიორგი ჩხაიძე („ლა როშელი“), ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე („ორიაკი“), ვასილ კაცაძე („გრენობლი“), თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი („ტური“), ბესიკ ხამაშურიძე („ოში“), ბადრი ხეხელაშვილი („ანგულემი“), გუჯა იოვაძე („აგდი“).**

შეკრებაზე გამოძახებული 30 კაციდან საპორტუგალიოდ 22 შეირჩევა. და კიდევ, იტალიური „როვიგოს“ მორკინალი აქსენტი გიორგაძე პირველი ქართველი მორაგბე გახდება, უცხო ქვეყნის „ოლ სტარში“ რომ უთამაშია. იგი იტალიური ლიგის საუკეთესო ლეგიონერთა შორის დასახელდა. რაკი ბორჯღალოსნები 9 თებერვალს შეიკრიბებიან, 8-ში გიორგაძე უცხოელ ვარსკვლავთა მხარდამხარ „სკუადრა აძურას“ დაუპირისპირდება. ნაოლსტარევს კი ნაკრების კაპიტან და თანაკლუბელ ილია ზედგინიძესთან ერთად საფრანგეთში ჩაფრინდება.

**ბაჩო სვანიძე**



აქსენტი გიორგაძე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი






უილტ ჩემბერლენი მაიკლ ჯორდანმა დაიქვეითა

# M J 31 424

— 22 იანვარი —

### მაიამი 92:85 ფინიქსი

**მაიამი:** ბესტი (8), რ. ბატლერი (6), კ. ბატლერი (13), ალენი (12), გრანტი (16 ქულა, 10 მოხსნა); ჯეიმსი (15), ელისი (10), ჰაუსი (9), სტეფანია (8 წუთი, 3 ქულა, 5 მოხსნა)

**ფინიქსი:** მარბერი (18), ჯონსონი (15), მარიონი (27), სტუდემაიერი (9), ოუთლოო (1); ჯეკობსენი (6), ვოსკული (5), უილიამსი (4), ბრაუნი, ლანი

### ნიუ იორკი 97:88 დენვერი

**ნიუ იორკი:** ეისლი (8), ჰიუსტონი (37), სპრიუელი (17), ო. ჰარინგტონი (6), ტომასი; ვეზერსპუნი (16), ვორდი (7), დოლიკი (6), ანდერსონი, ნაითი

**დენვერი:** ლ. ჰარინგტონი (3), იარბრო (18), ჰარვი (19), ჰოვარდი (28), ილარიო (13); ანდერსენი (7), ცქიტიშვილი (9 წუთი, 0 ქულა, 1 პასი), კროტი, ბოუენი, ბლუნტი, ვაიტი

### ინდიანა 101:98 ტორონტო

**ინდიანა:** სტრიკლენდი (19), ონილი (18 ქულა, 10 მოხსნა, 10 დაფარება)
**ტორონტო:** ლენარდი (19)

### ნიუ ორლეანი 103:94 ვაშინგტონი

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (24)
**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (26), ჯორდანი (18)

### ლეიკერსი 110:114 გოლდენ სტეიტი

**ლეიკერსი:** ონილი (28), ფიშერი (24), ბრაიანტი (23)
**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (30), რიჩარდსონი (17)

### ატლანტა 110:112 პორტლენდი

ძირითადი დრო 96:96
**ატლანტა:** აბდულ-რაჰიმი (27), ტერი (23)
**პორტლენდი:** ანდერსონი (21)

### სან ანტონიო 93:98 მემფისი

**სან ანტონიო:** დანკანი (30 ქულა, 21 მოხსნა)
**მემფისი:** გასოლი (28 ქულა, 17 მოხსნა)

### მინესოტა 96:91 სიეტლი

**მინესოტა:** გარნეტი (20)
**სიეტლი:** პეიტონი (20)

### იუტა 89:96 კლიპერსი

**იუტა:** მელოუნი (23)
**კლიპერსი:** ბრენდი (24)

### დეტროიტი 83:92 ფილადელფია

**დეტროიტი:** უილიამსონი (20)
**ფილადელფია:** აივერსონი (21)

### ორლანდო 94:91 ჩიკაგო

**ორლანდო:** მაკგრეიდი (31)
**ჩიკაგო:** როუზი (28)

### ბოსტონი 97:106 მილუოკი

**ბოსტონი:** პირსი (30)
**მილუოკი:** ალენი (34)

„ფინიქს სანზის“ დამხვედრ „მაიამის“ მოგების შანსი ედი ჯონსმა წაართვა. ფლორიდელთა მთავარმეტყვე ისევ დაშავდა, უმისოდ კი „მაიამი“ განწირულია გამარჯულად შეხვდებოდა „ფინიქსთან“, ასე ფიქრობდა საამბატრო პროგნოზისტთა უმრავლესობა. ასე ფიქრობდნენ ფინიქსელებიც. ჯონსის თანაგუნდელმა ბრაიან გრანტმა ასეთებს მატჩის პირველივე წუთებში შეაცვლევინა აზრი.

„ის მუდამ იბრძვის. ზოგჯერ არ გამოსდის, რაც სურს, მაგრამ უკან არ იხევს. ხშირად მითქვამს, ის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია ამ ლიგაში. ამპლუის კვალობაზე დაბალია, მაგრამ ამის კომპენსირებას ბრძოლის ჟინით ახერხებს“ — ასე შეაფასა მატჩის შემდეგ ბრაიან გრანტი მისმა დამრიგებელმა პატ რაილიმ. ახლა პატ მასწავლებელი კარგი აზრისაა მასზე, თუმც იყო დრო, ყველაზე ხორბა შეგირდის კრიტიკაში პრესაზე წინ იდგა. ეს იმიტომ, რომ გრანტი დაცვაში თამაშით იფარგლებოდა და შეტევაში პასიურობდა. ახლა, როცა მისმა რჩეულმა, თმებჩაწნულმა მეფარემ შედეგიანობას უმატა, რაილი, რაღა გასაკვირია, გრანტს თავისას არ უკარგავს.

ჯონსის არყოფნაში გრანტმა „მაიამის“ 16 ქულა მიაშველა, დაცვაში კი წინ სალ კლდესავით აელობა „ფინიქსის“ ვენდერკინდ ახალბედას, ამარე სტუდემაიერს და ოდენ 9 ქულას დააჯერა. არადა, სტუდემაიერს ლამის ყოველ მატჩში უგროვდება ორი ათეული ქულა.

გრანტს სხვებმაც აუბეს მხარი და ვოვა სტეფანიას „მაიამიმ“ ძლიერი მეტოქე დააჩოქა.

წააგო მეორე ქართველის, ნიკა ცქიტიშვილის „დენვერმა“. მისი მძლეველი „ნიუ იორკია“, გუნდი, რომელმაც ორი დღით ადრე „მაიამისაც“ მოუგო. გაუჭირდათ ნიუიორკელებს, „დენვერი“ კარგად უტევდა და უკეთესად იცავდა თავს. ერთადერთი, რაც სტუმრებმა ვერაფრით შეძლეს, ეს „ნიკსის“ ლიდერ ალარ ჰიუსტონის შეჩერება იყო. ჰიუსტონს სინდისი ქენჯნიდა, მას შემდეგ, რაც კლუბმა მას ლამის 100-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა (2001 წელს). ის ყოველ თამაშს განსაკუთრებული მონდომებით ატარებს. ჰიუსტონს „მაიამისთან“ შეხვედრა ჩაუფლავდა. ასე რომ, „დენვერთან“ ორმაგად მოიწადინა და აკი 37 ქულაც დაატეხა თავს მეტოქეს.

ინდიანაპოლისში „ინდიანამ“ უდაბადებულეს ბრძოლაში დასცა ტორონტოელი „ტირანოზავრები“, რაშიც ლომის წილი მასპინძელთა 210 სანტიმეტრს ოდნავ აცილებული მეფარის, ჯერმენ ონილისაა. ეს ჭაბუკი ვეტერანი (22 წლისა, მე-7 სეზონს ატარებს) იმას დაუფრთხია, რომ კარსმომდგარ „ოლ სტარში“ იქნებ ადგილი არ შეხვდეს. ჰოდა, თავს არ ზოგავს, აღმოსავლეთის გუნდის შემრჩევ ხალხს თვალში არ მოვაკლდეო. ასეთი თამაშით ნამდვილად არ დარჩება შეუმჩნეველი — 18 ქულას, 10 მოხსნასა და 10 დაფარებას ეხუმრებით? ესეც რომ არა, ონილმა, პირდაპირი გაგებით, მარტომ მოიგო თამაში — 98:98 ანგარიშზე, საფინალო სირენამდე 3 წამით ადრე, ორქულიანიც ჩააგდო და მისი მომყოლი საჯარიმოც.

გავაგრძელოთ „ოლ სტარის“ თემა: ჯერმენის დამრიგებელი, მოთამაშეობისას უამრავჯერ ნაოლსტარელი აიზია ტომასი ყველა ვარსკვლავის ატლანტურ შეხვედრაზე აღმოსავლელებს უმწვრთნელებს, რაკი მისი „ინდიანა“ წინასაოლსტარო დღეებში აღმოსავლეთის კონფერენციის ცხრილის წვერზეა. დასავლეთის მწვრთნელი „საკრამენტოს“ თავკაცი რიკ ადელმანი იქნება.

მაიკლ ჯორდანი სპორტიდან წასვლა-მოსვლებით დასერილ, მაგრამ მაინც ბრწყინვალე კარიერში ყველაზე დაბალშედეგიან სეზონს ატარებს, მაგრას ის მაინც უპრობლემოდ მოხვდება მისისპის გამოლმა ვარსკვლავეთის 12-კაცია განაცხადში. გუშინწინ ამერიკული გაზეთების სპორტულმა გვერდებმა ვინ მოთვლის, მერამდენედ გამოიტანეს ემ-ჯეის სახელ-გვარი სათაურებში. ჯორდანმა 18 ქულა ჩაუგდო „ნიუ ორლეანს“, თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მითუმეტეს, რომ მისმა „ვაშინგტონმა“ ის თამაში წააგო, მაგრამ გაზეთებს მაინც ჰქონდათ მაიკლ ჯორდანის შრიფტის გამსხვილების მიზეზი — მაიკლმა თურმე კარიერის განმავლობაში დაგროვილი ქულებით 60-იანი წლების უმსხვილესკალიბრიან ბომბდამშენს უილტ ჩემბერლენს გაუსწრო და ნბა-ს ყველა დროის უყოჩაღეს მექულეთა სიაში მესამე ადგილს უწია. წინ მხოლოდ ქარიმ აბდულ-ჯაბარი და კარლ მელოუნი არიან.

**ირაკლი ფირცხვილი**

**ნბა-ს უყოჩაღესი მექულეები**

| | | |
|---|---|---|
| ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 1 560 | 38 387 |
| კარლ მელოუნი | 1 393 | 35 487 |
| მაიკლ ჯორდანი | 1 032 | 31 424 |
| უილტ ჩემბერლენი | 1 045 | 31 419 |
| მოზეს მელოუნი | 1 329 | 27 409 |
| ელვინ ჰეიესი | 1 303 | 27 313 |
| ჰაკიმ ოლაჯუონი | 1 238 | 26 946 |
| ოსკარ რობერტსონი | 1 040 | 26 710 |
| დომინიკ უილკინსი | 1 074 | 26 668 |
| ჯონ ჰავლიჩეკი | 1 270 | 26 395 |
| ალექს ინგლიში | 1 193 | 25 613 |
| ჯერი ვესტი | 932 | 25 192 |
| პატრიკ იუინგი | 1 183 | 24 815 |
| ჩარლზ ბარკლი | 1 073 | 23 757 |
| რობერტ პერიში | 1 611 | 23 334 |
| ადრიან დენტლი | 955 | 23 177 |
| ელჯინ ბეილორი | 846 | 23 149 |
| რეჯი მილერი | 1 203 | 23 037 |
| კლაიდ დრექსლერი | 1 086 | 22 195 |
| ლარი ბერდი | 897 | 21 791 |

*რიცხვთა პირველ სვეტში თამაშთა ოდენობაა, მეორეში — ქულათა*

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 28 | 13 | 68,3 |
| ბოსტონი | 24 | 18 | 57,1 |
| ფილადელფია | 22 | 20 | 52,4 |
| ორლანდო | 23 | 21 | 52,3 |
| ვაშინგტონი | 21 | 21 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 17 | 23 | 42,5 |
| მაიამი | 15 | 27 | 35,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 30 | 12 | 71,4 |
| დეტროიტი | 27 | 14 | 65,9 |
| ნიუ ორლეანი | 23 | 20 | 53,5 |
| მილუოკი | 20 | 21 | 48,8 |
| ჩიკაგო | 15 | 27 | 35,7 |
| ატლანტა | 14 | 28 | 33,3 |
| ტორონტო | 10 | 33 | 23,3 |
| კლივლენდი | 8 | 35 | 18,6 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 32 | 8 | 80,0 |
| სან ანტონიო | 26 | 15 | 63,4 |
| იუტა | 25 | 16 | 61,0 |
| ჰიუსტონი | 23 | 17 | 57,5 |
| მინესოტა | 24 | 18 | 57,1 |
| მემფისი | 13 | 28 | 31,7 |
| დენვერი | 10 | 31 | 24,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 31 | 11 | 73,8 |
| პორტლენდი | 25 | 15 | 62,5 |
| ფინიქსი | 25 | 18 | 58,1 |
| ლეიკერსი | 19 | 22 | 46,3 |
| სიეტლი | 18 | 22 | 45,0 |
| გოლდენ სტეიტი | 18 | 23 | 43,9 |
| კლიპერსი | 16 | 25 | 39,0 |

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სლოვაკი სენატორის კანადური კარიერა

— 22 იანვარი —

### ვაშინგტონი 5:3 კაროლინა 1:1 1:0 3:2

1:0 იაგრი (14), 1:1 ფრენსისი (19), 2:1 იაგრი (38), 3:1 ჩერნიკი (44), 4:1 მილერი (48), 4:2 ვასიჩეკი (55), 4:3 ვასიჩეკი (58), 5:3 ჰელპერნი (60)

### ტამპა 2:2 მონრეალი 0:1 1:1 1:0 0:0

0:1 ზედნიკი (16), 1:1 ფედოტენკო (23), 1:2 კოივუ (27), 2:2 ანდრეიჩუკი (60)

### ფლორიდა 1:2 ოტავა 0:1 0:0 1:1

0:1 ჰოსა (19), 1:1 მაიესკი (49), 1:2 ჰოსა (59)

„სენატორთა“ სლოვაკი ლიდერი მარიან ჰოსა მართლაც შეუდარებელია. საკმაოდ უშინაარსო მატჩში მან არცთუ რეალური საგოლე მომენტების გამოყენება შეძლო და 33 შაიბით ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე შეიქნა.

### დალასი 4:2 კოლუმბუსი 0:1 2:0 2:1

0:1 ლინგი (3), 1:1 გერინი (23), 2:1 კაპანენი (31), 3:1 იანგი (44), 3:2 სილინჯერი (49), 4:2 ერსკინი (49)

### ედმონტონი 4:3 დეტროიტი 2:0 0:2 1:1 1:0

1:0 კარტერი (6), 2:0 რიტა (11), 2:1 ლარიონოვი (28), 2:2 ჰალი (35), 2:3 დრეიპერი (44), 3:3 კარტერი (44), 4:3 ბრიუერი (62)

სულ ერთი გოლი და დეტროიტელი ბრეტ ჰალი 700-შაიბიან ზღვარს უწევს. მისმა გუნდმა კი ზედიზედ მეორედ წააგო, პირველად სეზონში. ედმონტონელთაგან ენსონ კარტერი გამოირჩა, ტრავმა ჯერ ბოლომდე არ მოურჩენია და ორი გოლი გაიტანა.

### სან ხოსე 4:5 ნიუ ჯერსი 2:3 0:0 2:1 0:1

0:1 ფრიზენი (5), 1:1 ნოლანი (8), 1:2 ნიდერმაიერი (16), 1:3 ბრილინი (17), 2:3 ნოლანი (18), 3:3 მარლო (47), 4:3 გრეივსი (48), 4:4 ნუინდაიკი (60), 4:5 ნუინდაიკი (65)

### ანაჰაიმი 6:5 ლოს ანჯელესი 3:0 0:4 3:1

1:0 კარია (4), 2:0 კარია (7), 3:0 რუჩინი (18), 3:1 ნორტონი (27), 3:2 პაინცი (29), 3:3 კორვო (30), 3:4 პალფი (34), 3:5 ჩარტრანდი (47), 4:5 რუჩინი (52), 5:5 შუინარი (53), 6:5 სიკორა (57)

# ქალი? გვინდა! ფინეთში ჰოკეიც საუნაა: ქალები, კაცები ერთად

**ჰაილი ვიკენჰაიზერი** კანადის ქალთა ნაკრების კაპიტანია, ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მაგრამ ეს ყველაფერი რა მოსატანია იმასთან, რაც ვიკენჰაიზერმა ახლახან გააკეთა. ერთთვიანი სტაჟირების შემდეგ მან მამაკაცთა ჰოკეის კლუბთან გააფორმა კონტრაქტი წლის ბოლომდე. მერე რა, რომ ეს ნჰლ არ არის და ფინეთია, თან მეორე ლიგის გუნდი „სალამათია“. ფაქტია, იგი პირველი ჰოკეისტი ქალია, რომელიც მამაკაცთა შარაქაში გაერია. თან ეპიზოდურად კი არა, ხანგრძლივად. ჰაილი რომ ყოველივე ამას ფრიად სერიოზულად უდგება, მისი სიტყვებიდანაც ჩანს:

„თუ სათამაშო დროს შემიზღუდავენ და არ მენდობიან, წავალ. აქ იმიტომ მოვედი, რომ ქალებზე ფიზიკურად ძლიერ და სწრაფ მამაკაცთა გარემოცვაში გამოვცადო ჩემი ძალა.“

ჰაილის ანგარიშზე უკვე სამი თამაშია. ბოლოში მან 12 წუთი დაჰყო ყინულზე და შაიბის 14 ჩაგდებიდან 10 მოიგო.

მან დაამტკიცა, რომ შეუძლია კაცებთან გაჯიბრება“ — „სალამათის“ თავკაცი, წარსულში ცნობილი ჰოკეისტი მატი ჰაგმანი ჯერჯერობით კმაყოფილია ახალი შეგირდით.



ჰაილი ვიკენჰაიზერი

შეგახსენებთ, რომ აქამდე ერთმა მანდილოსანმა, ასევე კანადელმა, მეკარემ მანონ რომმა სცადა ნჰლ-ურ კლუბ ტამპაში მოხვედრა, მაგრამ უშედეგოდ. იგი მხოლოდ ვარჯიშობდა და ერთადერთხელ, საგამოფენო მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

# ისევ პისკისფრად გათენდა, ტეო?



ვერა და ვერ დაბრძენდა ტეო ფლერი. სეზონი ისე არ გავა, შარი არ აიტეხოს. იმკურნალა, ჩემპიონატის 25 თამაში გამოტოვა, თითქოს აღარ სვამს და საყვარელ საქმეს დაუბრუნდა, კარგადაც დაიწყო, მაგრამ...

როგორც ოჰაიოს შტატის პოლიციის მუშაკის, სერჟანტ ბრენტ მულის მოხსენებითი ბარათი გვაუწყებს, ოთხშაბათს, დაახლოებით დილის 5 საათზე, მათ ოფისში ტელეფონის ზარი გაისმა. შეატყობინეს, რომ სტრიპტიზის კლუბთან რამდენიმე მამაკაცი ცდილობდა ტაქსის გაჩერებას და ერთ-ერთი მათგანი დაშავებული ჩანდა. პოლიციის მისვლამდე მათ მოასწრეს გამგზავრება, მაგრამ კანონის დამცველებმა იპოვეს მანქანა და გააჩერეს. ტაქსში სამი მამაკაცი აღმოჩნდა. ერთმა, რომელსაც თვალს ზემოთ მცირე ჭრილობა ჰქონდა, წარუდგინა თავი პოლიციელებს, როგორც ჩიკაგოს მოთამაშე და განაცხადა, რომ სტრიპტიზკლუბში სცემეს. ის აშკარად ნაბახუსევი ჩანდა. დანარჩენმა ორმა დამალა თავისი ვინაობა, ცნობილი ადამიანები ვართ და გახმაურებას ვერიდებითო. მერე გაირკვა, რომ დაზარალებული ტეო ფლერი იყო. მან ეს საჯაროდ განაცხადა და გუნდის წინაშე ბოდიშიც მოიხადა.

„ქორების“ თავკაცი ბრენტ სატერის თქმით, კლუბის ხელმძღვანელები დასკვნებს თავად გამოიტანენ და სანქციები (თუ იქნება) არ გახმაურდება.

„მე ლოთი ვარ. ეს ავადმყოფობა ოდნავ შემიმსუბუქდა, მაგრამ სრულად ვერ განვიკურნე“ — თქვა ბოლოს ფლერიმ და დასძინა, ახალი დღე გათენდა და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებო.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS მელბურნიდან

# ტრიბუნების იერი

მელბურნში სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირი გრძელდება. შტეფი გრაფი ერთგვარი ინდიფერენტულობითაც კი უცქერის თავისი ქმრის, ანდრე აგასის თამაშს სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირასთან. ალბათ იმიტომ, რომ ანდრე იოლად იგებს, ანუ ჩვეულებრივი სამუშაო დღე აქვს. სამაგიეროდ, მხიარულად არიან უილიამსები: დედა ორასინი და დაი ვინუსი, რადგან სერენა ლამის დაუჯერებლად ამარცხებს ბელგიელ კიმ კლაისტერსს.



REUTERS მელბურნიდან



REUTERS მონტმელოდან

# შუმი მიგვანიშნებს

მადონა დი კამპილიოს თოვლში დასვენებული მიხაელ შუმახერი უკვე მონტმელოს შარაზეა გასული და ახალი „ფერარის" ტესტირებას შესდგომია თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოსთან ერთად. ამ მანქანებით ასე ვუზამთ ყველასო, ამბობს შუმი. სეზონის პირველი დიდი პრიზი კი მარტში გათამაშდება, ტრადიციულად, ავსტრალიაში.



REUTERS მალმიოდან

# რუსთა მოკლე პროგრამა

შვედეთის მალმიოში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, ცხადია, ფერადოვნად ჩანან რუსები. მარტოქალთა მოკლე პროგრამაში ირინა სლუცკაიამ მეორე ადგილი დაიჭირა თანამემამულე ელენა სოკოლოვას შემდეგ. მოკლე პროგრამაშივე იმარჯვა ტატიანა ტოტმიანინასა და მაქსიმ მარინინის წყვილმა.



REUTERS მალმიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვაჟა, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge